ტექნიკური დავალება

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის და ონლაინ მაღაზიისათვის ვებ-საიტის შექმნა და მისი ტექნიკური მხარდაჭერა

სარჩევი

1. პროექტის მიზანი და ამოცანები 2

2. შესყიდვის ობიექტი 3

3. ტექნიკური და ფუნქციონალური მოთხოვნები ვებ-საიტის მიმართ 3

4. საიტის რუკა 7

5. ვებ-საიტის დეტალური აღწერა 8

6. ადმინისტრირების მხარე (CMS) 26

7. რეფერენსები 32

8. საგარანტიო პერიოდი და ტექნიკური მხარდაჭერა 34

9. დამატებითი მომსახურება 36

10. საკუთრების უფლება 36

11. „ესქროუ“ 36

12. პროდუქტის მიწოდების ვადები 37

13. ანგარიშგება 38

1. **პროექტის მიზანი და ამოცანები**

წინამდებარე პროექტის საფუძველზე იქმნება ერთიანი ვებ პლატფორმა, რომელიც საერთო ქოლგის ქვეშ მოაქცევს საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმისა და ონლაინ მაღაზიის მიმართულებებს.

ვებ-საიტმა უნდა წარმოაჩინოს ეროვნული ბანკის სრული საქმიანობა ნუმიზმატიკისა და ბონისტიკის მიმართულებით, სადაც მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ:

- ფულის მუზეუმის განყოფილებაში:
    - მიიღონ დეტალური ინფორმაცია ფულის მუზეუმში გამოფენილი ექსპონატების შესახებ; (ნუმიზმატიკურ-ბონისტიკური კატალოგი)
    - მიიღონ ინფორმაცია ფულის მუზეუმში ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; (ღონისძიებების კალენდარი)
    - გაეცნონ აკადემიურ ნაშრომებს ნუმიზმატიკისა-და ბონისტიკის სფეროში; (ისტორიის თარო)
    - გაეცნონ სტატიებსა და სიახლეებს ნუმიზმატიკა-ბონისტიკის სფეროში; (ბლოგი)
    - დაათვალიერონ ფულის მუზეუმის სივრცე (ფულის მუზეუმის ვირტუალური ტური)
    - მიიღონ ინფორმაცია ფულის მუზეუმში არსებული ექსკურსიებისა და ლექციების შესახებ;
    - დაგეგმონ ვიზიტი ფულის მუზეუმში;

- ონლაინ მაღაზიის განყოფილებაში:
    - მიიღონ ინფორმაცია საიტის მოხმარების, წესების და ინსტრუქციების შესახებ.
    - მიიღონ დეტალური ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული პროდუქციის შესახებ (სარეალიზაციო პროდუქციის კატალოგი)

    - განახორციელონ მარაგში არსებული ან /და წინასწარი შეკვეთით (პრეორდერი) პროდუქციის შეკვეთა/შესყიდვა;
    - მიიღონ ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების/ შემდგომში გამოსაშვები პტოდუქციის შესახებ

2. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი მომსახურება:

- საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის და ონლაინ მაღაზიის ვებ-საიტის შექმნა, ჰოსტინგი და შემდგომი მხარდაჭერა/მომსახურება.

    - ვებსაიტი უნდა იყოს ორენოვანი: ქართული, ინგლისური;
    - ვებსაიტის მისამართია: https://moneymuseum.nbg.gov.ge

აღნიშნული მომსახურება მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- ვებ-საიტის დიზაინის შემუშავება (UI/UX)
    - Desktop Design
    - Mobile Design
- front end&back end დეველოპმენტი
- ვებ-საიტის სამართავი პანელის შემუშავება
- ვებ-საიტის ოპტიმიზაცია SEO სტანდარტების მიხედვით
- ვებ-საიტზე პირველადი კონტენტის განთავსება და ტესტირება
- ბეტა-ვერსიის გაშვება
- ბაგების გასწორება და საბოლოო ვერსიის გაშვება
- სისტემის საჰოსტინგო მომსახურება
- სისტემის ტექნიკური მხარდაჭერა

შენიშვნა: აღნიშნული საკითხების შემუშავება უნდა მოხდეს შემსყიდველთან შეთანხმებით და მოცემულ დოკუმენტში აღწერილ მინიმალურ ფუნქციონალურ და ტექნიკურ მოთხოვნებზე დაყრდნობით.

3. ტექნიკური და ფუნქციონალური მოთხოვნები ვებ-საიტის მიმართ

3.1. ზოგადი მოთხოვნები

3.1.1. ვებ-საიტის შესაქმნელად გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე Web Development სფეროში არსებული სტანდარტები და ინოვაციები,

მიმწოდებელმა უნდა გამოიყენოს ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიები რომელიც იძლევა საშუალებას საიტის სხვადასხვა გვერდებზე სრული გვერდის განახლების გარეშე ცალკეული კომპონენტების განახლებას.

3.1.2. ვებ-საიტის ხარვეზების გარეშე უნდა მუშაობდეს ყველა პლატფორმაზე (Windows, Linux, Mac, Android, IOS), სხვადასხვა დიაგონალის მქონე მოწყობილობის ეკრანისთვის (smartphones, desktops, tablets ა.შ) და ყველა პოპულარულ ვებ-ბრაუზერის მინიმუმ ბოლო ორ უახლეს ვერსიაზე (Mozilla, Chrome, Opera, Safari, Microsoft Edge);

3.1.3. ვებ-საიტი ოპტიმიზირებული უნდა იყოს საძიებო სისტემის Google -ის მოთხოვნების შესაბამისად;

3.1.4. ვებ-საიტის URL მისამართები უნდა იყოს გადაწყვეტილი ე.წ. Search Engine Friendly URL-ისპრინციპით;

3.1.5. საიტს უნდა ჰქონდეს ავტომატურად გენერირებადი sitemap-ი, xml ფორმატში საძიებო სისტემებისთვის;

3.1.6. შემსრულებელი ვალდებულია Google Analytics-ის კორექტულ ინსტალაციაზე ვებ საიტის კოდში. ძირითადი საინსტალაციო და სხვადასხვა მოქმედებების კოდები მოწოდებული იქნება სამუშაო პროცესში.

3.1.7. ვებ-საიტის ქართულენოვანი ვერსია შექმნილი უნდა იყოს შრიფტების უნივერსალურ კოდირებაში (UTF-8);

3.1.8. საიტი უნდა იყოს მაქსიმალურად ოპტიმიზირებული, მოქნილი ნავიგაციით და ადვილად ჩატვირთვადი;

3.1.9. საიტს უნდა გააჩნდეს საიტზე ძიების ლოკალური ფუნქცია;

3.1.10. პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნას მომავალში ფუნქციონალის გაზრდის შესაძლებლობა, სხვადასხვა კომპონენტის დამატება.

3.1.11. ვებ-საიტს უნდა ჰქონდეს მასზე განთავსებულ ნებისმიერ ტექსტურ გვერდზე ფოტოალბომების და ფაილის მიბმის შესაძლებლობა.

3.1.12. შემსრულებელი ვალდებულია გამოყოს სივრცე, სადაც ატვირთავს ვებ-საიტის დასრულებულ/ სატესტო / სამუშაო ვერსიას პროექტის გრაფიკის ეტაპების მიხედვით. სადაც ვებ საიტის სატესტო ვერსია ხელმისაწვდომი იქნება დამალულ რეიჟიმში და სამუშაო გუნდის წევრებს ექნებათ საშუალება ნახონ განვითარების პროგრესი.

3.2. <u>მოთხოვნები სისტემის უსაფრთხოების მიმართ</u>

- პროგრამული უზრუნველყოფა ხარვეზების გარეშე უნდა მუშაობდეს თანამედროვე ვებ-ბრაუზერების, მინიმუმ ბოლო ორ უახლეს ვერსიაზე (Mozilla Firefox, Chrome, Opera, Safari, Microsoft Edge)
- შემოთავაზებული გადაწყვეტილება არ უნდა იყოს დაფუძნებული ე.წ. ღია პროგრამული კოდის მქონე CMS-ზე (Opensource Content Management System, .როგორიცაა Drupal, Wordpress, Joomla etc.)

- პროგრამულ უზრუნველყოფას უნდა ჰქონდეს ავტორიზაციის ფორმა; პაროლის ველში ჩაწერილი სიმბოლოები უნდა იყოს დაფარული;
- სამართავი პანელის მომხმარებლების ავტორიზაციისთვის გამოყენებული უნდა იყოს 2 ფაქტორიანი აუტენთიფიკაციის მეთოდი;
- პაროლების პოლიტიკა უნდა შემუშავდეს დეველოპმენტის დაწყებამდე და უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პაროლების პოლიტიკას;

3.3. <u>ვებ-საიტის სტრუქტურა და დიზაინი</u>

3.3.1. <u>ვებ-საიტის სტრუქტურა</u>

3.3.1.1. მიმწოდებელმა უნდა დახატოს იმდენი უნიკალური დიზაინის გვერდი შესაბამისი მოდულებით და ჩანართებით რამდენიც მოცემულია ტექნიკურ დავალებაში. ამასთან ერთად, უნდა დახატოს სტანდარტული გვერდის რამდენიმე შაბლონი. შაბლონური გვერდების რაოდენობა და თითოეულზე არსებული ჩანართების და ვიზუალური ელემენტების განლაგება უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.

3.3.1.2. სტანდარტული გვერდის შაბლონები შესაძლოა იყოს რამდენიმე ტიპის, მაგალითად: ტექსტური ტიპის, გალერიის ტიპის, სიითი ტიპის და სხვა. თითოეულს უნდა გააჩნდეს შესაბამისი დიზაინი და სტრუქტურა.

3.3.1.3. თითოეული გვერდის ტიპის მართვა ხდება ადმინისტრატორის პანელიდან. იერარქიულად ძირითადად სამ დონიანი გვერდების ჩაშლაა.

3.3.1.4. ძირითადი კატეგორიის თითოეულ გვერდს უნდა გააჩნდეს დამატებითი ნავიგაციის მენიუ, სადაც მოცემული იქნება აღნიშნული კატეგორიის ქვეშ არსებული გვერდების ჩამონათვალი.

3.3.2. <u>ვებ-საიტის დიზაინის ეტაპები:</u>

3.3.2.1. პირველი ეტაპი - უხეში wireframe_სადაც ყველა საკვანძო გვერდის სტრუქტურა წარმოდგენილია და შესაძლებელია გვერდებს შორის ნავიგაციის გააზრება.

*შენიშვნა: ამ ეტაპზე ყურადღება არ ეთმობა კომპონენტების ვიზუალს და ზომებს, ყველაფერი დაახლოებითია და გადმოსცემს მხოლოდ საკვანძო გვერდების კომპონენტების შემცველობას, მათ რიგითობას და ძირითადი განლაგებას.

3.3.2.2. მეროე ეტაპი - სუფთა Wireframe - სადაც ყველა კომპონენტი იმეორებს თითქმის იდენტურ ზომას და წყობას რაც უნდა იყოს საბოლოო დიზაინში. კომპონენტები არის გარჩევადი თუ როგორი

სტილის იქნება და ნავიგაცია არის პროტოტიპის სახით, ანუ დიზაინ პორტალის გამოყენებით შესაძლებელია კომპონენტებზე დაჭერით შესაბამის გვერდზე გადასვლა და რეალური ნავიგაციის იმიტაცია.

*შენიშვნა: ამ ეტაპზე მტკიცდება ზუსტი ზომები, წყობები, ნავიგაცია, გვერდების შინაარსი და მახასიათებლები.

3.3.2.3. მესამე ეტაპი - UI დიზაინის შექმნა - სადაც წარმოდგენილია ძირითადი და რამოდენიმე საკვანძო გვერდის სრული ვიზუალი (ფერების, ფონტები, კომპონენტების განაწილება და სხვა)

3.3.2.4. მეოთხე ეტაპი - საბოლოო დიზაინის შექმნა - სადაც წარმოდგენილია ყველა გვერდის დიზაინი, ყველა კომპონენტით.

3.3.2.5. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ნამუშევარში დამკვეთს აქვს არგუმენტირებული შენიშვნები და მიმწოდებელი ვერ ახერხებს მის გათვალისწინებას, ეს საკითხი გამოიწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.4. <u>პროექტის მართვა და დანერგვა:</u>

ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში მხარეების მიერ ერთობლივად, უნდა შემუშავდეს პროექტის დეტალური გეგმა-გრაფიკი.

სისტემის დეველოპმენტის დასრულების და სატესტო გარემოს დანერგვის შემდეგ 10 მომხმარებლეს უნდა ჩაუტარედეს სისტემის ადმინისტრირების ტრეინინგი.
მიმწოდებელმა ტესტირების მეთოდოლოგიის მიხედვით უნდა წარმოადგინოს სატესტო სცენარები, იმ შინაარსითა და მოცულობით რაც აუცილებელია სისტემის სრულფასოვანი ტესტირებისათვის.

მიმწოდებლის სამუშაო ჯგუფიც აქტიურად უნდა იყოს ჩართული პროცესებში და უნდა ესწრებოდეს სისტემის ტესტირებას. სისტემის ძირითად გარემოში დანერგვამდე მიმწოდებემა უნდა უზრუნველოყოს ყველა საჭირო ქმედების განხორციელება, რომ დამკვეთმა მომზადებული პირველადი ინფორმაცია მარტივად შეიტანოს სისტემაში.

სისტემა საბოლოოდ არ იქნება მიღებული (ჩაბარებული) მანამდე, სანამ წინამდებარე დოკუმენტით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა სრულად არ იქნება შემოწმებული და დადასტურებული სებ-ის მიერ.

3.5. <u>ვებ-საიტის კონტენტის მომზადება:</u>
მიმწოდებელმა უნდა შეასრულოს შემდეგი სამუშაოები:

- ფულის მუზეუმის ექსპონატების სტუდიური ფოტოგადაღება და დამუშავება (340 ერთეული მონეტა და 125 ერთეული ბანკნოტი)
- ფულის მუზეუმის ვირტუალური ტური.

*კონტენტი შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან.

3.6. <u>დამატებითი მოთხოვნები</u>

3.6.1. საჰოსტინგო მომსახურება უნდა განხორციელდეს cloud სერვისების საშუალებით, შემოთავაზებული cloud სერვის პროვაიდერი უნდა ირიცხებოდეს 2021 ან 2022 წლის Cloud Infrastructure and Platform Services TOP 3 leaders Gartner Magic Quadrant-ში;

4. საიტის რუკა

- **მთავარი გვერდი**
    - **ფულის მუზეუმი**
        - ნუმიზმატიკურ-ბონისტიკური კატალოგი
        - ღონისძიებების კალენდარი
        - ისტორიის თარო
        - ფულის მუზეუმის ბლოგი
        - ფულის მუზეუმის ვირტუალური ტური
        - ვიზიტი მუზეუმში
            - ექსკურსიები და ლექციები
            - ინფორმაცია ვიზიტორებისთვის
            - დაგეგმე ვიზიტი
    - **ონლაინ მაღაზია**
        - სარეალიზაციო პროდუქციის კატალოგი
        - დაგეგმილი პროექტები
    - **პირადი კაბინეტი**
        - საკონტაქტო ინფორმაცია (პროფილი)
        - კალათა
        - ჩემი შეკვეთები
        - ჩემი სიახლეები
    - **სიახლეების გვერდი და სლაიდერი**
        - სიახლეები
        - პრეს-რელიზები
        - გამოკითხვები და კონკურსები
    - **ხშირად დასმული კითხვები მოდული, სადაც იქნება ძიების შესაძლებლობაც და მომხმარებელი მაქსიმალურად**

კომფორტულად შეძლებს იპოვოს პასუხი დასმულ კითხვაზე.

- **კონტაქტის გვერდი**
- **მომსახურება და პირობები**
    - საიტის მოხმარების ზოგადი წესები და პიროებები
    - ფულის მუზუემისა და ონლაინ მაღაზიის პროცედურები და წესები
    - შეთანხმება მომხარებელეთან

5. ვებ-საიტის დეტალური აღწერა

5.1. მთავარი გვერდის აღწერა

პროექტის იდეა მოიცავს ორი განსხვავებული დანიშნულების მქონე ვებ-საიტის ერთ სივრცეში გაერთიანებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული იდეა ასახულ იქნას მთავარი გვერდის დიზაინშიც, რისი გათვალისწინებითაც მთავარი გვერდი უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

5.1.1. <u>ფულის მუზეუმის განყოფილებაში გადასასვლელი სივრცე;</u>

*მაუსოვერზე უნდა გამოდიოდეს ფულის მუზეუმის ნავიგაციის მენიუ (ქვეგვერდები):

- ვირტუალური ტური
- ნუმიზმატიკურ-ბონისტიკურიკატალოგი
- ღონისძიებების კალენდარი
- ისტორიის თარო
- ფულის მუზეუმის ბლოგი
- ვიზიტი მუზეუმში
    - ექსკურსიები და ლექციები
    - ინფორმაცია ვიზიტორებისთვის
    - დაგეგმე ვიზიტი

5.1.2. <u>ონლაინ მაღაზიის განყოფილებაში გადასასვლელი სივრცე;</u>

*მაუსოვერზე უნდა გამოდიოდეს ფულის მუზეუმის ნავიგაციის მენიუ (ქვეგვერდები):

- სარეალიზაციო პროდუქციის კატალოგი
- დაგეგმილი პროექტები
- მომსახურება და პირობები

5.1.3. <u>კონტენტი ჰედერში:</u>

5.1.3.1. ენის გადამრთველი (ქართული/ინგლისური);

5.1.3.2. სისტემაში შესვლის ველები + რეგისტრაციის ღილაკი;

*სისტემაში შესვლის შემთხვევაში - უნდა ჩნდებოდეს მომხმარებლის სახელი გვარი და პირად კაბინეტში გადასასვლელი ბმული.

*რეგისტრაციის ღილაკზე დაჭერით - რეგისტრაციის ფანჯარა უნდა გამოდიოდეს მთავარ გვერდზევე (ბექგრაუნდის დაბლარვით) და უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი-სახელი-გვარი-პირადი ნომერი-ტელეფონის ნომერი-ნომერზე გამოგზავნილი ვერიფიკაციის კოდის შესაყვანი ველი - რეგისტრაცია. (გასათვალისწინებელია უცხო ქვეყნის იუზერებიც).

*დეტალური მონაცემების დამატება, რომელიც საჭირო იქნება საიტის ფუნქციონალების სრული გამოყენებისათვის შესაძლებელი იქნება პირადი კაბინეტიდან.

5.1.4. <u>პირადი კაბინეტი:</u>

პირად კაბინეტში ვებ-საიტის მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ:

- გაიარონ ვერიფიკაცია ვებ-საიტის ფუნქციონალების სრულად გამოყენებისთვის;
- გამოიწერონ მათთვის პრიორიტეტული კონტენტი;
- მართონ კალათა.

5.1.4.1. <u>საკონტაქტო ინფორმაცია:</u>

ვებ-საიტის ფუნქციონალების სრული გამოყენება შეეძლებათ მხოლოდ ვერიფიცირებულ მომხმარებლებს, რაც მოითხოვს დეტალური საკონტაქტო და საიდენტიფიკაციო მონაცემების დამატებას:

- სახელი*
- გვარი*
- მობილური ტელეფონი* (ქვეყნების მიხედვით შეზღუდული რაოდენობა ციფრების)
- ელ. ფოსტა
- პაროლი
- განმეორებით პაროლი
- ქვეყანა
- ქალაქი
- მისამართი
- საფოსტო ინდექსი
- დოკუმენტის გამცემი ქვეყანა
- პასპორტის ნომერი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში)
- პირადი ნომერი
- უსაფრთხოების კოდი
- ვერიფიკაციის ღილაკი*

ვერიფიკაციის ღილაკზე დაჭერისას ავტომატურად უნდა მოწმდებოდეს შევსებული მონაცემების სისწორე ტელეფონის ნომრის, პირადი ნომრის ციფრების რაოდენობის მიხედვით.

5.1.4.2. <u>ჩემი სიახლეები</u>

აღნიშნულ გვერდის საშუალებით მომხმარებლები შეძლებენ მათთვის საინტერესო კონტენტის გამოწერას. მიმართულებები წარმოდგენილი იქნება სიის სახით (მონიშვნის ფუნქციით):

- სიახლეები
    - ახალი სარეალიზაციო პროდუქციის შესახებ;
    - დაგეგმილი პროექტების შესახებ;
    - მუზეუმში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
    - ისტორიის თაროს შესახებ;
    - ბლოგის შესახებ.
- პრესრელიზები

თითოეული მიმართულების მონიშვნით, მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ თვალყური ადევნონ ინფორმაციის განახლებას კონკრეტულად მათთვის საინტერესო თემების და მიმართულებების ირგვლივ.
*ვებ-საიზე ინფორმაციის განახლების შემთხვევაში მომხმარებლებს ვისაც გამოწერილი აქვს შესაბამისი მიმართულებები უნდა უჩნდებოდეს შეტყობინება პირად კაბინეტში (სახელი და გვარის გასწვრივ - განახლების რაოდენობის მითითებით, ხოლო ჩემ სიახლეებში შესვლის შემთხვევაში აღნიშნული შეტყობინებები განთავსებული უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების გასწვრივ)

5.1.4.3. <u>კალათა</u>

აღნიშნულ გვერდზე განთავსდება სარეალიზაციო კატალოგში მომხმარებლის მიერ მონიშნული პროდუქციის ჩამონათვალი (ავერსის და რევერსის მცირე ზომის ფოტოები+სათაური-მოკლე აღწერა-სარეალიზაციო ფასი)

ჩამონათვალის ბოლოს განთავსებული იქნება გადახდის საშუალებების (ბარათის) მიბმის ფუნქციონალი და ყიდვის ღილაკი. ყიდვის ღილაკის გასწვრივ უნდა გამოჰქონდეს

- პროდუქციის ღირებულება
- გადაზიდვის ღირებულება
- დაზღვევის ღირებულება
- ჯამური ღირებულება

*ღირებულებების კალკულაცია უნდა ხდებოდეს ავტომატურად

კალათაში განთავსებული პროდუქციის ჩამონათვალს უნდა ჰქონდეს მონიშვნის და მონიშვნის მოხსნის ფუნქცია. მომხმარებლებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ განახორციელონ ღირებულების კალკულაცია და პროდუქციის შეძენა მათ მიერ მონიშნული პროდუქციის მიხედვით, ისე რომ არ იყოს კალათიდან სხვა პროდუქციის ამოღების საჭიროება. ასევე მომხმარებლებს შესაძლებლობა უნდა ქონდეთ აქვე გაზარდოს სასურველი პროდუქციის რაოდენობა.

*კალათაში პროდუქციის არსებობის შემთხვევაში უნდა ჩანდეს შეტყობინება

5.1.5. <u>სიახლეების გვერდი და სლაიდერი</u>

ვებ-საიტზე უნდა არსებობდეს სლაიდერი, შემდეგი თემატიკების მონიშვნის ფუნქციით:

- სიახლეები
- პრესრელიზები
- გამოკითხვები
- კონკურსები

სლაიდერში ავტომატური მონაცვლეობით უნდა ჩნდებოდეს მონიშნული თემატიკის ბოლო ხუთი ჩანაწერი. (ფოტოს, სათაურის და აღწერილობის მითითებით) თითოეულ ჩანაწერზე დაჭერით, მომხმარებელი უნდა გადადიოდეს სიახლეების გვერდზე, სადაც განთავსებული იქნება ყველა სიახლე შესაბამისი ფილტრების მონიშვნის და ჩანაწერების სასურველი იერარქიით დალაგების შესაძლებლობით.

*მართვის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს დროებითი (შაბლონური) გვერდის შექმნა (სასურველია მითითებულ დედლაინის თარიღში გაქრეს ავტომატურად) სადაც შესაძლებელი უნდა იყოს კონკურსების და გამოკითხვების განთავსება.

- კონკურსის ტიპი მოიცავს სტანდარტულ სიახლესთან ერთად საჭირო ველების დამატებას და ფაილების ატვირთვის შესაძლებლობას. აღნიშნული განაცხადები შეინახება სამართავ

პანელში, შესაბამისი კონკურსის და განმცხადებელი რეგისტრირებული მომხმარებლის მითითებით

- გამოკითხვა შეიძლება მოიცავდეს სტანდარტულ შეკითხვასთნ ერთად რამოდენიმე არჩევანის დამატებას, სადაც მომხმარებელს შეეძლება აირჩიოს მისთვის სასურველი. სამართავ პანელში შეინახება რეგისტრირებული მომხმარებლის მონაცემები და მისი არჩევანი

მოთხოვნები დიზაინის ესკიზების ასატვირთი პლატფორმისადმი:

- საჭიროა შეიქმნას ონლაინ პლატფორმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება კონკურსის მონაწილეებმა ელექტრონული ფორმით წარმოადგინონ დიზაინის ესკიზ(ებ)ი, დიზაინის შინაარსის განმარტებები(აღწერილობის ტექსტი).
- პლატფორმაზე უნდა მოხდეს მომხმარებლის რეგისტრაცია და რეგისტრაციის ფორმა უნდა შედგებოდეს მინიმუმ შემდეგი ველებისგან:
    - სახელი
    - გვარი
    - ელ-ფოსტის მისამართი
    - მობილური ტელეფონის ნომერი (რომლზეც უნდა გაიგზავნოს ვერიფიკაციის კოდი და ამ კოდის დადასტურების შემდეგ დასრულდეს რეგისტრაცია)
- პირველ რიგში, აუცილებელია, რომ შესაძლო იყოს პლატფორმაზე წვდომისთვის საწყისი და საბოლოო ვადის განსაზღვრა, რამდენადაც მასალების ატვირთვა შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ თარიღებს შორის შუალედში. ესკიზების მიღების ვადის გასვლის შემდგომ კი კონკურსანტებს არ უნდა ჰქონდეთ ატვირთულ ფაილებზე წვდომა და მათი მოდიფიცირების შესაძლებლობა ან საერთოდაც უნდა დახვდეთ პლატფორმაზე ელექტრონული შეტყობინება, რომ ესკიზების მიღებისთვის განსაზღვრული ვადა ამოწურულია. კონკურსანტებს თავისთავად არ უნდა ჰქონდეთ წვდომა ერთმანეთის მიერ წარმოდგენილ აპლიკაციებზე.
- ესკიზების ასატვირთად ვებ-საიტზე მომხმარებელს უნდა გამოუჩნდეს ორი ველი: პირველი -ესკიზების ასატვირთად, მეორე - დიზაინის შინაარსის განმარტების შესავსებად. ასატვირთი ფაილების ფორმატები უნდა იყოს: .jpeg, .png. ფაილების ზომა: განისაზღვრება დეველოპმენტის პროცესში. დიზაინის შინაარსის შესავსები ფორმა უნდა შედგებოდეს სამი ველისგან, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება მეორდებოდეს : კონკურსის დასახელება (Text Box), დიზაინის აღწერა (Text Box) კომენტარის ველი (Text Box).

გასათვალისწინებელია, რომ ერთ კონკურსანტს რამდენიმე ესკიზის წარმოდგენის შესაძლებლობა აქვს.

- მასალების ატვირთვის შემდგომ უნდა იყოს ღილაკები რომელზე დაჭერითაც კონკურსანტი დაადასტურებს 1. ეთანხმება პირობებს და 2.ფაილების წარმოდგენას. აღნიშნული დასტურის შემდგომ, თუ მის მიერ პლატფორმაზე მითითებულ მეილზე ავტომატურად მივა მასალების მიღების თაობაზე დასტური (ჩვენს მიერ წინასწარ მომზადებული ტექსტი) ან თუ აღნიშნული ვერ მოხერხდება, ღილაკზე დაჭერის შემდგომ ეკრანზე გამოისახოს დასტურის შემცველი ტექსტი, რომ ფაილები მიღებულია.
- განყოფილებას მიღებულ აპლიკაციებზე წვდომა უნდა ჰქონდეს მხოლოდ საკონკურსო ვადის ამოწურვის შემდგომ. თუმცა, სანამ პლატფორმა სატესტო რეჟიმში გვექნება, აჯობებს, როცა კონკურსანტის მიერ პლატფორმაზე მოხდეს ფაილების ატვირთვა, მოვიდეს შეტყობინება მეილზე, რომ იყოს საშუალება შედარდეს პლატფორმაზე არსებული აპლიკაციების რაოდენობას და დავრწმუნდეთ რომ არ გვაქვს რაიმე ხარვეზი.
- ამასთანავე, პლატფორმა უნდა ფუნქციონირებდეს იმგვარად, რომ კონკურსის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგ (აპლიკაციების გარკვეული ვადით შენახვისას) ხდებოდეს ესკიზების და კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა (მესამე პირთაგან).

5.1.6. <u>კონტენტი ფუტერში:</u>

აღნიშნულ სივრცეში განთავსდება ის მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომლებიც საერთოა როგორც ფულის მუზეუმის ასევე ონლაინ მაღაზიისთვის.

ასევე სასურველია ორივე მიმართულებისათის არსებობდეს შეფასების ფუნქცია.

მაგ: სარეალიზაციო კატალოგის შემთვევაში პროდუქციის და სრული შესყიდვის ციკლის შესაფება მიწოდების ჩათვლით (feedback form)

5.1.6.1. <u>ხშირად დასმული კითხვები</u>

აღნიშნულ გვერდზე წარმოდგენილი იქნება ხშირად დასმული კითხვების ჩამონათვალი შესაბამისი პასუხებითა და აღწერებით. ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება სიის სახით. სია შესაძლოა იყოს მრავალ დონიანი. ადმინისტრატორის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს კითხვების და პასუხების დამატება წაშლა, კორექტირება. დონეების რაოდენობას მომწედებელი და

დამკვეთი ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავს დიზაინის შემუშავებისას.

განსაკუთრებულ შემთხვევებში მართვის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს ონლაინ ჩეტის გააქტიურების შესაძლებლობა (შესაძლებელი უნდა იყოს პასუხის გამცემი ოპერატორების მართვის პანელში აქტივაცია - ოპერატორის სახელის და საკონტაკტო ფოსტის მითითებით (სადაც გადაიგზავნება კითხვა)

თუ ვერ განხორციელდა შესაბამისი პასუხის მოძიება შესთავაზებს ხდკ-ს გვერდზე გადასვლას, სადაც კითხვა-პასუხების ჩამონათვალი განთავსებული იქნება თემატიკების მიხედვით, ასევე იქნება კითხვის მეილზე მოწერის შესაძლებლობაც. (გადასასვლელი ბმული კონტაქტის გვერდზე

5.1.6.2. <u>კონტაქტი</u>

აღნიშნულ გვერდზე განთავსდება ფულის მუზეუმის და ონლაინ მაღაზიის საკონტაქტო ინფორმაცია

- შეტყობინების გაგზავნა მომხმარებლის ელ. ფოსტის მითითებით (info@moneymuseum.nbg.gov.ge)
- ტელეფონის ნომრები
- მისამართები (რუკა)

5.1.6.3. <u>მომსახურება და პირობები</u>

განთავსდება ტექსტური ფაილები საიტის მოხმარების წესების, პირობების და ინსტრუქციების შესახებ.

- „მომხმარებელთან შეთანხმება“ დაჭერის შემთხვევაში გამოვა ტექსტი.
- ტარიფები (PDF, ტექსტი)
- ინსტრუქცია (PDF, ხმოვანი ვიდეო, ტქსტი)
- სხვა

*შესაძლებელი უნდა იყოს ჩანაწერების დამატება შესაბამისი ფაილის ატვირთვით.

5.1.6.4. <u>სოციალური ქსელების ბმულები</u>

განთავსდება სოციალური მედიის ლოგოები (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ლინკდინი, იუთუბი, ტვიტერი) ფულის მუზეუმის და ონლაინ მაღაზიის შესაბამის ქსელებზე გადასვლის შესაძლებლობით.

*მართვის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნულ სივრცეში ვებ-საიტის ნებისმიერი ქვეგვერდის გალინკვაც.

5.2. ფულის მუზეუმის კონტენტის აღწერა

5.2.1. <u>ვირტუალური ტური</u>

ფულის მუზეუმის ვირტუალური ტური უნდა მოიცავდეს 360 გრადუსიან სფერული გადაღების მასალებს (დრონი, ექსტერიერი, ინტერიერი) ფულის მუზეუმის ინტერიერის ტური განაწილებული უნდა იყოს პერიოდების (საექსპოზიციო ვიტრინების) მიხედვით, თითოეულ დონეზე შესაძლებელი უნდა იყოს როგორც ტექსტური აღწერილობის, ასევე აუდიო მასალის ჩაშენება (აუდიო გიდი)

1. ფულის მუზეუმის დარბაზში განთავსებულ ვიტრინებში განთავსებულ ნუმიზმატიკური და ბონისტიკური არტეფაქტების შესახებ საინფორმაციო ხასიათის 360 გრადუსის ხედვის გამოსახულების მქონე შესაბამისი რაოდენობის ექსტერიერისა და ინტერიერის ვიდეორგოლი. ვიდეო რგოლისა და მათი აღმწერი ტექსტებისა და აუდიო გიდების მომზადება. მუზეუმის გამოფენის ვირტუალური რეალობის, ე.წ. სფერული ან 360 გრადუსიანი ვიდეორგოლების ფორმატის შინაარსის მიხედვით ქვემოთჩამოთვლილი ვიტრინების ვიდეო-რგოლების მომზადება;
   ა)ისტორიული სამარხი;
   ბ)ისტორიული პერიოდის მონეტებისა და ქართული ბონების ვიტრინა
   გ)ეროვნული ბანკის ისტორიის ვიტრინა
   დ) ეროვნული ვალუტის - ლარის ვიტრინა
   დამთავლიერებელის - ვიზიტორის სურვილის მიხედვით ვიტრინაზე დაყოვნებით შეიცვალოს ხედვის არეალი (field view);
   ვიზიტორს სურვილის შემთხვევაში უნდა შეეძლოს გამოიძახოს დამატებით აუდიო ინფორმაცია (აუდიო გიდის ფუნქცია) მუზეუმში დაცული კონკრეტული არტეფაქტების მიხედვით - ტექსტური ინფორმაცია. (აქ უნდ აგავნსაზღვროთ რამდენ ექსპონატზე უნდა გავაკეთოთ)
   ხმის გაშვება-ჩართვის ფუნქციის ქონა.
   გადაღებული ვიდეო/ფოტო მასალები გაფართოება უნდა იყოს 4K (4096x2048) კოდეკი - H264. დამუშავება/მონტაჟი ოპტიმიზაცია/ კონვერტაცია - აუდიო გახმოვანება. აუდიო გახმოვანება (აუდიო 256 კილობაიტი წამში).
   ვიდეოს მინიმალური ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 30 წამი (თემატიკის გათვალისწინებით)
   მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ვიდეო გადაღების წინასწარ სცენარის მიხედვით გადაღება და მონტაჟი, მასალის ადაპტირება, კატეგორიზაცია და გახმოვანება დამკვეთთან შეთანხმებით.

*ვირტუალური ტურის განყოფილებაში მართვის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს რამოდენიმე ვირტუალური ტურის ჩაშენება ერთდროულად, თითოეულის წაშლის და

დაჰაიდების ფუნქციით. ვირტუალური ტურები შესაბამის განყოფილებაში უნდა გამოჩნდეს ჩამონათვალის სახით (ტურის დასახელება, მოკლე აღწერა)

5.2.2. <u>ნუმიზმატიკურ-ბონისტიკური კატალოგი</u>

აღნიშნულ გვერდზე განთავსდება ქართული ფულის ისტორიის ძირითადი შემადგენელი მონეტები და ბანკნოტები პერიოდის, კატეგორიების და ქვეკატეგორიების მიხედვით:

კატალოგი მოცემული უნდა იყოს სიის სახით, პერიოდის, კატეგორიების და ქვეკატეგორიების პარამეტრით ფილტრაციის შესაძლებლობით. კერძოდ: კატალოგი უნდა იყოს წარმოდგენილი ისტორიის ქრონოლოგიის ხაზის პრინციპით, დაყოფილი 19 ქრონოლოგიურ პერიოდად, რომელშიც გადანაწილდება ქართული ფულის ისტორიის ძირითადი შემადგენელი მონეტები და ბანკნოტები. თითეული ქრონოლოგიური პერიოდიდან უნდა გამოჩნდეს მონეტის მაღალი გარჩევადობის ფოტო (2D სპეციფიკაციებით) შესაბამისი მოკლე აკადემიური აღწერილობით. აღნიშნული ექსპონატი ისტორიის ხაზზე ისე უნდა გამოჩნდეს, რომ მასზე კურსორის მიტანისას ხილვადი იყოს იმ ეპოქის სხვა ექსპონატების ჯგუფური ფოტო, შემდეგომი მოახლოებისას კი ჩვეულებრივ სიაში აისახოს, მაღალი რეზოლუციითა და შესაბამისი ინფორმაციის მითითებით. ვიზიტორს უნდა შეეძლოს კატალოგის ფილტრაცია მოახდინოს ექსპონატების ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, კერძოდ: ლითონის, მისი სახეობების, ქაღალდისა და დამზადების ადგილის გათვალისწინებით. ისტორიის ქრონოლოგიის ხაზის დაცვით , ცხრამეტ პერიოდად (Timeline პრინციპით, უნდა განთავსდეს მონეტების და ბანკნოტების ფოტოები, ქართულ-ინგლისური აღწერილობით, 350 მონეტა და 130-მდე ბანკნოტი.) თითოეულ ექსპონატზე შესაძლებელი უნდა იყოს ფოტოს შეცვლა; აღწერილობის დამატება, დარედაქტირება, სოციალურ მედიის გაზიარების ფუნქციის შესაძლებლობებით. ექსპონატების (მონეტის/ბანკნოტის) აღწერა: დასახელება; მაღალი გარჩევადობის ფოტო (ავერსი/რევერსი); აღწერა (რედაქტირების ფუნქციით).

კატალოგი უნდა იყოს ორ დონიანი:

- კატალოგის ძირითადი ექსპონატების ძირითადი ჩამონათვალი;
- ექსპონატების დეტალური აღწერის ფანჯარა.

კატალოგში Scroll up და Scroll down-ის მეშვეობით მომხმარებელს უნდა შეეძლოს პერიოდის მართვა, ხოლო კატეგორიებს ექნებათ მონიშვნის (ჩართვის და გამორთვის) ფუნქცია.

კატალოგის ძირითად ჩამონათვალში ექსპონატები უნდა ჩანდეს მცირე ზომის ფოტოს სახით (ავერსი/რევერსი); მაუსოვერსე უნდა ჩნდებოდეს შესაბამისი ექსპონატის დასახელება და მოკლე აღწერა, ხოლო თითოეულ ექსპონატზე დაკლიკვის შემთხვევაში უნდა გამოდიოდეს ფანჯარა სადაც განთავსებული იქნება დეტალური

ინფორმაცია აღნიშნული ექსპონატის შესახებ დასახელების, ტექსტის და შესაბამის საინფორმაციო მასალებზე გადასასვლელი ბმულების შემცველობით (არსებობის შემთხვევაში) ფანჯარაში ასევე წარმოდგენილი იქნება აღნიშნული ექსპონატის ავერსის და რევერსის ფოტომასალა. (2D სპეციფიკაციებით, მაღალი გარჩევადობის ფოტო) ფოტოზე დაკლიკვის შემთხვევაში გადიდების ფუნქციით (დეტალური აღწერის ფანჯრის მთელ ზომაზე + მაუსოვერზე ზუმის ფუნქციით) მართვის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს ასევე აუდიო მასალის ატვირთვაც (აუდიო გიდი). დეტალური აღწერის ფანჯარაში შესაძლებელი უნდა იყოს წინა და შემდეგი ექსპონატის დეტალურ აღწერაზე გადასვლის შესაძლებლობა (გადასასვლელი ისრები) ფანჯრის დახურვის გარეშე.

რეფერენსები:

https://britishmuseum.withgoogle.com/
https://bronzenwietiere.smb.museum/model/3
https://bronzenwietiere.smb.museum/model/1
https://bills.ocularium.be/?language=en

5.2.3. ღონისძიებების კალენდარი

აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდება ინფორმაცია, ფულის მუზეუმში გამართული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ღონისძიებების კალენდარის განყოფილებაში Scroll up და Scroll down-ის მეშვეობით მომხმარებელს უნდა შეეძლოს კალენდრის თარიღის მართვა (Scroll up - მომავალში დაგეგმილ ღონისძიებაზე გადასვლა; Scroll down - წინა თარიღში გამართულ ღონისძიებაზე გადასვლა) გადასვლა შესაძლებელი უნდა იყოს ასევე გვერდის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებულ ისრებზე დაჭერით. ან კალენდარის ჩამოშლით (ღონისძების თარიღები სხვა ფრად)
*ადმინ პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს ღონისძიების შექმნა თარიღების მიხედვით, სათაურის, ტექსტური აღწერილობის, ღონისძების შესაძლო ღირებულების მითითების და მედია მასალების ატვირთვის შესაძლებლობით. შესაძლებელი უნდა იყოს ასევე, შესაძლებელი უნდა იყოს უკვე გამართული ღონისძიების ედიტირება (ფოტო ან ვიდეო მასალების მიმაგრება შესაბამის მოვლენაზე)
დაგეგმილი ღონისძიებები ავტომატურად უნდა გამოჩნდეს „დაგეგმე ვიზიტი“-ს რეგისტრაციის ფანჯარაშიც (დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალში)
მომხმარებელს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს თითოეული ღონისძიება (გვერდი) გააზიაროს სოციალურ ქსელში, გამოხატოს დაინტერესება “interested” ღილაკზე დაჭერით ან აქვე გაიაროს ონლაინ რეგისტრაცია შესაბამის ღონისძიებაზე.

რეფერენსი: http://bilan-trends2016.heed.agency/#

5.2.4. ისტორიის თარო

აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდება აკადემიური ნაშრომები ნუმიზმატიკისა და ბონისტიკისსფეროში:

- ძვ.წ.აღ VI საუკუნიდან 1804 წლამდე ქართული ნუმიზმატიკის ისტორიის აღწერა (Word/PDF ფაილი; მოცულობა -3000 სიტყვა, ქართულ და ინგლისურ ენებზე, რედაქტირების უფლებით;)
- 1918-1991 წლების პერიოდის ქართული ფულის ისტორიის აღწერა (Word/ PDFფაილი, მოცულობა - 1500 სიტყვა; ქართულ და ინგლისურ ენებზე, რედაქტირების უფლებით)
- 1993-1995 წლის ქართული კუპონის ისტორიის აღწერა (Word/PDF, მოცულობა 500 სიტყვა ქართულ და ინგლისურ ენებზე, რედაქტირების უფლებით)
- 1995-დღემდე ქართული ეროვნული ვალუტის ისტორიის აღწერა - (Word/PDF, მოცულობა 1000 სიტყვა ქართულ და ინგლისურ ენებზე, რედაქტირების უფლებით)
- ქართული ზარაფხანების ისტორიის აღწერა (Word/PDF, მოცულობა -500 სიტყვა ქართულ და ინგლისურ ენებზე 4-5 ფოტო JPG/Tiff/PNG ფორმატით, რედაქტირების უფლებით)
- ქართული ნუმიზმატიკისა და ბონისტიკის ელექტრონული ბიბლიოთეკა - (2-3 GGBT ტევადობა, PDF ფორმატის ფაილებით, ჩამორტვირთვისა და სოციალური მედიის გაზიარების ფუნქციით)
- ქართული ფულის ისტორიის ბიბლიოგრაფია (PDF/Word ფაილი,რედაქტირების ფუნქციით)
- 1919-1921 წლების სახელმწიფო ბანკის ისტორია (Word/PDF ფაილი; მოცულობა 500 სიტყვა ქართულ და ინგლისურ ენებზეcრედაქტირების უფლებით; ბანკის ისტორიის ფოტოების განთავსება JPG/TIFF/PNG - ფორმატში, ჩამოტვირთვის ფუნქციით)

Scroll up და Scroll down-ის მეშვეობით მომხმარებელს შეეძლება ისტორიის თაროს მარჯვენა და მარცხენა მხარეს გადასვლა (გვერდზე ასევე განთავსებული უნდა იყოს ისრები, რომელზე დაჭერითაც განხორციელდება იგივე ოპერაცია)

თითოეულ ნაშრომზე ღილაკ „წაიკითხე“-ზე დაჭერით გაიხსნება წიგნის ონლაინ ვერსია ახალ ტაბში (შესაბამისი ფორმატით; ჩამოტვირთვის ფუნქციით)

*იმ ნაშრომებზე რომელთა ბეჭდური ვერსიაც არსებობს და რომლის რეალიზაციასაც ახდენს ეროვნული ბანკი, წაკითხვის და ჩამოტვირთვის გარდა, ასევე გამოჩნდება ღილაკი „შეიძინე“ რომლის დაკლიკვის შემთხვევაშიც მომხმარებელი გადავა ონლაინ მაღაზიის განყოფილებაში შესაბამის პროდუქტზე. (*ადმინ პანელში თითოეული წიგნის გახსნის და ჩამოტვირთვის რაოდენობები უნდა ფიქსირდებოდეს.)

რეფერენსი: http://minimalmonkey.com/

5.2.5. ფულის მუზეუმის ბლოგი

აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდება სტატიები ნუმიზმატიკის, ბონისტიკის და კოლექციონირების შესახებ, ასევე სასარგებლო, საგანმანათლებლო და შემეცნებითი სახის ინფორმაცია ძველი და თანამედროვე ნუმიზმატიკის, ბონისტიკის ასევე ამ დარგში მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და მიღწევების შესახებ
ბლოგის განყოფილებაში შესაძლებელი უნდა იყოს სტატიების როგორც ტექსტური, ასევე ვიდეო და აუდიო (პოდკასტები) ფორმატით ატვირთვა.
*მართის პანელში უნდა არსებობდეს როლი „ბლოგერი“ - შეზღუდული ყველა ნებისმიერი ფუნქციით გარდა ბლოგის განყოფილებაში ახალი სტატიის შექმნის და მისი რედაქტირებისა - საიტზე საბოლოო გამოქვეყნება ადმინის დასტურით.
ბლოგის განყოფილებაში სტატიები უნდა ჩანდეს ჩამონათვალის სახით კატეგორიების და ქვეკატეგორიების მიხედვით. (მართვის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს კატეგორიის, ქვეკატეგორიის დამატება და რედაქტირება)*მომხმარებლების მიერ სტატიების გახსნა უნდა ფიქსირდებოდეს და შესაძლებელი იყოს მათი პოპულარობის მიხედვით ფილტრაცია.

რეფერენსები:

https://www.pinigumuziejus.lt/en/news/blog

https://www.finedu.gov.ge/ge/blogi-1

5.2.6. ვიზიტი მუზეუმში

აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდება ინფორმაცია თუ რის ნახვაა შესაძლებელი ფულის მუზეუმში, მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს თუ რა ტიპის ექსკურსიები და საჯარო ლექციები იმართება, მიიღოს ვიზიტთან დაკავშირებული სასარგებლო ინფორმაცია, ასევე გაიაროს ფულის მუზეუმის ექსკურსიებსა და საჯარო ლექციებზე ელექტრონული რეგისტრაცია.
განყოფილების ქვეკატეგორიები იქნება:

- <u>ექსკურსიები და საჯარო ლექციები ფულის მუზეუმში:</u>
  განთავსდება სტანდარტული ექსკურსიებისა და საჯარო ლექციების წინასწარ შედგენილი პროგრამები ტურისტებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მქონე დამთვალიერებლებისთვის.

- <u>ინფორმაცია ვიზიტორებისთვის:</u>
  განთავსდება სასარგებლო ინფორმაცია ვიზიტორებისათვის, მუზეუმის სამუშაო საათების, ადგილმდებარეობის (რუკა), მისასვლელი ტრანსპორტის შესახებ და სხვა.

- <u>დაგეგმე ვიზიტი</u>
  განთავსდება ვიზიტზე რეგისტრაციის ფორმა შემდეგი შესავსები ველებით:
    - ვიზიტორის ტიპის არჩევას (ადგილობრივი/უცხოელი ვიზიტორი)
    - სახელი, გვარი;
    - რაოდენობის ველი პოტენციური რაოდენობის ადმინ პანელიდან მართა
    - ვიზიტორის ქვეტიპის ველი (მოსწავლე, სტუდენტი, სხვა)
    - სკოლის, უნივერსიტეტის, კოლეჯის ან სხვა მითითების ველი
    - სტუდენტის და მოსწავლის შემთხვევაში (კლასის და კურსის/სემესტრის მითითება)
    - საკონტაქტო ინფორმაციის ველი (ტელეფონი, ელ.ფოსტა)
    - ტურის არჩევის ველი (ექსკურსია/ ლექცია-პრეზენტაცია)
    - დამატებითი კომენტარის ველი
    - სტუდენტებს ლექციის/ონლაინ-ლექციის არჩევის შემთხვევაში უნდა გამოუჩნდეს კალენდარი იმ თარიღებზე რომელ რიცხვშიც არის ლექცია, კვირაში 2 ჯერ მაქსიმუმ, უნდა შეეძლოთ ძირითადი და დამატებითი დროის არჩევის დაფიქსირება, კალენდარი აჩვენებდეს თავისუფალ დღეებს/საათებს და გარკვეული რაოდენობის ვიზიტორის დაგროვებისთანავე ავტომატურად აქრობდეს დროის შესაბამის მონაკვეთს.
    - მუზეუმში ვიზიტის ჯავშანის უკან არსებობდეს კალენდარი, სადაც განსაზღვრული იქნება წინასწარ მითითებული ხელმისაწვდომი თარიღები და ტურის დროები. აღნიშნული მონაცემების მართვა ხდებოდეს სამართავი პანელიდან. ერთი ვიზიტის დროზე შესაძლებელი იყოს ერთი რეგისტრაცია.
    - სოციალური მედიის გაზიარების უფლება

- მუზეუმის ვიზიტი და ლექცია/ღონისძიება შეიძლება იყოს ფასიანიც. ფასის მითითება ხდება სამართავი პანელიდან, ერთი ვიზიტორის ფასის მიხედვით. ასევე შესაძლებელია ვიზიტორის ქვეტიბზე ფასდაკლებების განსაზღვრა.

*ღონისძიებების კალენდარში დაგეგმილი ღონისძიებები ავტომატურად უნდა გამოჩნდეს ვიზიტის დაგეგმვის კალენდარში (შესაბამის თარიღზე). მართვის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს ვიზიტის დაჯავშნის შეზღუდვა კონკრეტული თარიღების და პერიოდების მითითებით. ასევე, შესაძლებელი უნდა იყოს დამსწრეთა მაქსიმალური რაოდენობის ლიმიტის დაწესება, ამოწურული რაოდენობის შემთხვევაში რეგისტრაციისას უნდა გამოჰქონდეს შესაბამისი შეტყობინება.

5.3. **ონლაინ მაღაზიის კონტენტის აღწერა:**

ონლაინ მაღაზიის გვერდზე წარმოდგენილი იქნება სარეალიზაციო პროდუქციის კატალოგი და ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების შესახებ.

5.3.1. <u>სარეალიზაციო პროდუქციის კატალოგი (2D)</u>

კატალოგში განთავსებული იქნება ყველა ის პროდუქცია, რომლის რეალიზაციასაც ახდენს ეროვნული ბანკი
შემდეგი ფილტრაციების მიხედვით (მონიშვნის ფუნქციით)

- საკოლექციო დანიშნულების მონეტები
  - ოქრო
  - ვერცხლი
  - არაძვირფასი მეტალი
- საინვესტიციო მონეტები

*მონეტების ფასი ვებ-საიტზე დევს მხოლოდ სამუშაო საათებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. ფასის დამალვის შემთხვევაში პროდუქციის ადგილზე ეწერებოდეს ჩვენს მიერ მითითებული ინფორმაცია.

- ზოდები
- მიმოქცევის დანიშნულების ბანკნოტები/მონეტები
  - ბანკნოტები
  - მონეტები
- მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტები/მონეტები
  - ბანკნოტები
  - მონეტები
- სხვა პროდუქცია
  - საჭიროების მიხედვით დაემატება

*შესაძლებელი უნდა იყოს მენიუს და ქვე მენიუს დამატება / ასევე გათიშვა / წაშლა

კატალოგში თითოეულ პროდუქციას უნდა ჰქონდეს:

- მაღალი გარჩევადობის ფოტო (ავერსის და რევერსის - გადიდების ფუნქციით)
- დასახელება;
- მოკლე /გრძელი აღწერა;
- სარეალიზაციო ფასი;
- კალათაში დამატების ღილაკი.

- შეკვეთის დაწყებისთანავე მომხმარებელს გამოუვა (pop up) შეთანხმება (მომსახურებიდან წამოღებული), რომელზეც სავალდებულოა ბოლომდე ჩამოსქროლვა და დათანხმება. სხვა შემთხვევაში პროცესი არ გაგრძელდება.
- კალათაში პროდუქციის მოთავსებისთანავე რაოდენობა მოაკლდება ხელმისაწვდომ ნაშთს, ხოლო კალათიდან ნებისმიერი მიზეზით წაშლის შემთხვევაში ავტომატურად მოემატება.
- კალათაში პროდუქციის მოთავსება შესაძლებელია ლიმიტირებული პერიოდით (მაგალითად 20 წუთი + გადახდის გვერდის დრო), ამ პერიოდის ათვლა დაიწყება კალათაში პირველივე პროდუქციის მოთავსებისთანავე (კალათის გააქტიურება), მიუხედავად 5 წუთის შემდეგ სხვა პროდუქციის დამატებისა.
- კალათის გააქტიურებიდან, მომხმარებლისთვის ლიმიტირებული პერიოდის წამზომის გამოჩენა, ხოლო ბოლო 1 წუთი გაწითლდება.
- კონკრეტულ პროდუქციაზე შესაძლოა იყოს თითო მომხმარებლისთვის კალათაში მოთავსების/შეძენის რაოდენობის შეზღუდვა გარკვეული პერიოდით;

5.3.1.1. <u>შეკვეთის განთავსება:</u>

- შემკვეთი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი (ავტომატურად წამოიღებს რეგისტრაციიდან)
- ტელეფონის ნომერი* (ცარიელი, სავალდებულო შესავსები, საქართველოს შემთხვევაში, სავალდებულო 9 ციფრი)
- ქვეყანა* (ასარჩევი, ადმინის მიერ კორექტირებადი სიიდან, ასევე შესაძლებელია ფიქსირებული ქვეყანა „საქართველო“)
- ქალაქი/რეგიონი* (ასარჩევი, ადმინის მიერ კორექტირებადი სიიდან)

- მისამართი (ცარიელი, სავალდებულო შესავსები)
- დამატებითი მიმღები პირის სახელი, გვარი (თუ ცარიელს დატოვებს, ავტომატურად წამოიღოს მომხმარებლის ველიდან)
- დამატებითი მიმღები პირის პირადი ნომერი (თუ ცარიელს დატოვებს, ავტომატურად წამოიღოს მომხმარებლის ველიდან)
- დამატებითი მიმღები პირის ტელეფონის ნომერი (თუ ცარიელს დატოვებს, ავტომატურად წამოიღოს მომხმარებლის ველიდან)
- გადახდამდე გადამოწმების მიზნით მომხმარებელს გამოუვიდეს სრული ინფორმაცია შეკვეთის შესახებ:

  მის მიერ შევსებული ინფორმაცია

  შესაძენი პროდუქცის დასახელება, რაოდენობა, ფასი

  გადაზიდვის თანხა - ადმინისტრირების მოდულში ქალაქზე ან ქალაქების ჯგუფზე (მაგ. რეგიონი) შესაბამისი ფასის მითითება

  დაზღვევის თანხა - ინდივიდუალურად ყველა მონეტაზე დაზღვევის ფასის მითითება, სრული თანხის ან პროცენტის და თვითონ გამოთვალოს.

  მთლიანი შეკვეთის ჯამური ღირებულება
- გადახდა
- გადახდის გვერდზე დიდი აქტივობის შემთხვევაში რიგების მართის სისტემის არსებობა / გამოყენების შესაძლებლობა
- შეკვეთის წარმატებით განთავსების შემთხვევაში ავტომატურად შეიცვლება შეკვეთის სტატუსი და შეძენილი პროდუქციის შესახებ შეკვეთის დასტურის შეტყობინება მიუვა ელ. ფოსტაზე/ მითითებულ მობილურის ნომერზე

5.3.1.2. <u>პრე-ორდერი</u>

- პრე-ორდერის ღილაკის გააქტიურება გარკვეული პერიოდით და დასრულება.
- შეკვეთის დაწყებისთანავე მომხმარებელს გამოუვა (pop up) შეთანხმება (მომსახურებიდან წამოღებული), რომელზეც სავალდებულოა ბოლომდე ჩამოსქროლვა და დათანხმება. სხვა შემთხვევაში პროცესი არ გაგრძელდება.
- კონკრეტულ პროდუქციაზე შესაძლოა იყოს თითო მომხმარებლისთვის კალათაში მოთავსების/შეძენის რაოდენობის შეზღუდვა;
- პროდუქციაზე მითითებული იქნება გადასახდელი თანხა.

- პრე-ორდერის განთავსება:

- შემკვეთი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი (ავტომატურად წამოიღებს რეგისტრაციიდან)

- ტელეფონის ნომერი* (ცარიელი, სავალდებულო შესავსები)
- გადახდამდე გადამოწმების მიზნით მომხმარებელს გამოუვიდეს სრული ინფორმაცია შეკვეთის შესახებ:

  მის მიერ შევსებული ინფორმაცია

  შესაძენი პროდუქცის დასახელება, რაოდენობა, ფასი

  მთლიანი შეკვეთის ჯამური ღირებულება
- გადახდა
- გადახდის გვერდზე დიდი აქტივობის შემთხვევაში მოლოდინის რეჟიმი
- შეკვეთის წარმატებით განთავსების შემთხვევაში ავტომატურად შეიცვლება შეკვეთის სტატუსი და შეძენილი პროდუქციის შესახებ შეკვეთის დასტური მიუვა ელ. ფოსტაზე.

  *პრეორდერის ღირებულების გრაფაში ნოლის (0) ჩაწერის შემთხვევაში მომხმარებლები პირდაპირ განახორციელებენ წინასწარი შეკვეთის განხორციელებას გადახდაზე გადასვლის გარეშე.

- პრე-ორდერის დასრულება:

შეტყობინების გაგზავნა მხოლოდ იმ მომხმარებლებთან, რომლებსაც კონკრეტული პროდუქციის პრე-ორდერი აქვთ განთავსებული. მხოლოდ ერთხელ მიუხედავად იმისა რამდენი შეკვეთა აქვს განთავსებული „ერთი პრე-ორდერის“ პერიოდში.

„ჩემი შეკვეთებიდან“ მომხმარებელს პრე-ორდერის ჩანაწერი გაუაქტიურდება გარკვეული ფორმით პრე-ორდერის დასასრულებლად;

ინფორმაციის სახით გამოჩნდება გადასახდელი თანხა

- შეთავაზება:
  - თავად წავიღებ საკასო ცენტრიდან;
  - თავად წავიღებ ფულის მუზეუმიდან;
  - მიწოდება მისამართზე (გადასახდელ თანხას დაემატება დაზღვევის და მიწოდების შესაბამისი თანხა)
- მიწოდების არჩევის შემთხვევაში მომხარებელი ავსებს სტანდარტული შეკვეთის განთავსების ველებს და პროცესი გრძელდება შეკვეთის ანალოგიურად.

  მნიშვნელოვანია გადახდის ონლაინ სისტემები, სად უნდა გავწეროთ ????? ის რომ აუცილებელია მინიმუმ ორი სისტემა - ჯორჯიან ქარდისა და უეფსის კომბინაცია მაგალითად რომ დავფაროთ ამექსიც -

  ამასთან: სებ-ის მიერ უკვე დაწყებული პრე-ორდერების მეორე ეტაპი, საბოლოო გადახდა და მიწოდება ასევე გათვალისწინებული უნდა იყო წინამდებარე პროეტში .

ეს გულისხმობს: ექსელის ბაზიდან ახლა სისტემაში ინფორმაციის ინტეგრირებასა და გადახდების მიღებას კონკრეტული მომხარებლებისაგან და გადამზიდავი კომპანიის სერვისების ინტეგრირების საფუძველზე მიწოდების ნაწილის დაფარვას . (თ ამის ახსნა უფრო დეტალურადაა საჭირო მზად ვართ გავიაროთ და ნათლად ავსახოთ დავალებაში)

5.3.2. <u>დაგეგმილი პროექტები:</u>

აღნიშნულ გვერდზე განთავსდება ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების შესახებ ეტაპების მიხედვით.

- <u>გადაწყვეტილების ეტაპი</u>
  პროდუქცია განთავსდება ფოტოს გარეშე, თემატიკის, დანიშნულების, შემცველობის, ასევე სავარაუდო პარამეტრებისა და დამზადების თარიღის მითითებით. აღნიშნულ ეტაპზე შესაძლებელი უნდა იყოს გამოკითხვის გვერდის გალინკვა (არსებობის შემთხვევაში)

- <u>დიზაინის შერჩევის ეტაპი</u>
  სტატუსის განახლებისას დაემატება დიზაინის კონკურსის მოთხოვნები. შესაძლებელი უნდა იყოს კონკურსის გვერდის გალინკვა.

- <u>წინასწარი შეკვეთების ეტაპი</u>
  აღნიშნულ ეტაპზე ჩანაწერს დაემატება ფოტო, შემადგენლობა, პარამეტრები და ა.შ. და გააქტიურდება წინასწარი შეკვეთის ღილაკი

- <u>დამზადების ეტაპი</u>
  აღნიშნულ ეტაპზე დაემატება ინფორმაცია დამამზადებელი კომპანიის შესახებ და პროდუქციის საბოლოო ტირაჟის მონაცემები.

  *თითოეულ ეტაპზე შესაძლებელი უნდა იყოს სებ-ის განცხადების მიბმა (დამატებითი ინფორმაცია) სტატუსის შესახებ

6. ადმინისტრირების მხარე (CMS)

6.1. ზოგადი აღწერამართვის პანელი ფულის მუზეუმის და ონლაინ მაღაზიის ფუნქციონალი იმართება ერთი მართვის პანელიდან ადმინ იუზერების ფუნქციებისა და როლების შესაბამისად.

6.2. ვებ- საიტის სრული მართვა უნდა ხორციელდებოდეს მართვის პანელის (CMS-ის) საშუალებით;

6.3. ვებ- საიტის მართვის პანელი (CMS) შექმნილი უნდა იყოს ორიგინალური პროგრამული კოდით და დამზადებისას არ უნდა გამოიყენებოდეს სტანდარტული სისტემები (Joomla, Tango, Wordpress და ა.შ.);

6.4. CMS-ს უნდა გააჩნდეს მომხმარებლების რეგისტრაცია და უფლებების დელეგირება. შესაძლებელი უნდა იყოს CMS მომხმარებლებისთვის ნებისმიერი უფლების გამოყოფა, ან გამორთვა, მაგალითად ამა თუ იმ კატეგორიაზე, წვდომა, სიახლეების დამატების, რედაქტირების, წაშლის უფლება, მოდერირება და სხვა.

6.5. ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს CMS მომხმარებლის ჯგუფების იერარქიის მართვა. მომხმარებლებისთვის ახალი ჯგუფების შექმნა, და შექმნილ კატეგორიებში მომხმარებლების ჩამატების/ამოღების შესაძლებლობა.

6.6. მოქმედებების ლოგები - ლოგებში უნდა იყოს მომხმარებლების მიერ ჩატარებული მოქმედებების ჩამონათვალი, ადმინ პანელში შესვლა, განახლების წაშლის მოდიფიცირების ჩანაწერები.

6.7. საიტის ბირთვის ადმინისტრირება:

- სტატიკური გვერდების შექმნა, რედაქტირება, წაშლა, გადაადგილება, დამალვა სტატიკური და დინამიური გვერდების დამატების ფუნქციონალი

(მენიუებში ჩამატება); o სტატიების და სიახლეების მართვა და კატეგორიზირება; o პუბლიკაციების მართვა და კატეგორიზირება; o ვებ-საიტის მომხმარებელთა მართვა და უფლებების; o გვერდების იერარქიის ცვლილება; o საკონტაქტო მონაცემების მართვა;

- მედია კონტენტის მართვა; o ღონისძებების მართვა;
- ტექსტის აკრეფის ველებში უნდა იყოს ჩაშენებული WYSIWYG რედაქტორი (FCK Editor, TinyMCE ან სხვა ამდაგვარი, მაგალითად სტატიებში სიახლეებში, სტატიური გვერდების შექმნისას).
- სიახლეების, სტატიების, სტატიკური გვერდებში ინფორმაციის განთავსებისას უნდა იყოს რეალიზებული სხვა და სხვა ფაილების

ატვირთვის (მაგალითად DOC, PDF და სხვა) და შემდგომ მათი ტექსტში ბმულის სახით ჩასმის შესაძლებლობა.

- ვებ-საიტზე გამოყენებული დამატებითი ბლოკების (საინფორმაციო ბანერების განთავსება, სლაიდერის მართვა, დამატებითი პუნქტებზე გადასვლის შესაძლებლობა)

6.8. <u>ინტერნეტ მაღაზიის ადმინისტრირება</u>

- User-ების (მომხმარებლები, ადმინები) ნებისმიერი ქმედების ლოგების ნახვა (user, თარიღი, დრო, ცვლილების შემთხვევაში ძველი ინფორმაცია);
- User-ების ნახვა რომლებსაც კალათაში აქვთ მოთავსებული პროდუქცია (დაწყებული შეკვეთების განყოფილება);
- ნებისმიერ გვერდზე (user-ების, შეკვეთების) User-ზე დაჭერის შემთხვევაში გამოვა მომხმარებლის ინფო, რეგისტრაციის თარიღი, მის პროფილში ცვლილების შესახებ და როდის რამდენი შეკვეთა განახორციელა.
- ნებისმიერი ინფორმაციის განთავსებისას ტექსტის ფორმატის ცვლილება word-ის ფუქნციონალებით (ზომა, ფერი, ფონტი....);
- გადამზიდი კომპანიის აპლიკაციის ჩაშენების შესაძლებლობა;
- შესაძლოა გადამზიდ კომპანიას დასჭირდეს დამატებით შტრიხ კოდი ინვოისზე.
- შემოსავლების სერვისების აპლიკაციის ჩასენების შესაძლებლობა;
- დაზღვევის დოკუმნტაციის ავტომატური გენერირების შესაძლებლობა
- ინფორმაციის + ფოტო (2D) განთავსება/რედაქტირება, დამალვა/გამოჩენა;
- პროდუქციაზე რედაქტირებადი კომენტარის დადება
- კონკრეტული პროდუქციის ფასის ავტომატური გამოჩენა/დამალვა სამუშაო დღეებისა და საათების მიხედვით. მისი დამალვის შემთხვევაში კომენტარის დადება (ოქროს საინვესტიციო მონეტებზე);
- ისეთი პროდუქციის რომელსაც ყოველდღიურად ეცვლება სარეალიზაციო ფასი ოქროს საინვესტიციო მონეტების ან სხვა, ფასის დაანგარიშება ავტომატურად (ლონდონის ბირჟაზე წინა დღის საღამოს დადგენილი ფასისა და ლარის დოლართან მიმართებაში კურსის მიხედვით (აღნიშნული პროდუქციის სარეალიზაციო ფასი დგინდება ყოველდღიურად - ოქროს ფასის, კურსის და დამზადების ხარჯების გათვალისწინებით. იგულისხმება რომ აღნიშნულ ფორმულაში ოქროს ფასის და კურსის მონაცემების ცვლილების შემთხვევაში სარეალიზაციო ფასის დაანგარიშება და საიტზე შესაბამისი განახლება განხორციელდეს ავტომატურად). ასევე საჭიროა ცხრილის სახით ჩანდეს ფასების ისტორია და შეძლებოდეს ექსპორტის გაკეთება .
- Log in-ისთანავე საჭიროების შემთხვევაში შეტყობინების (pop up) გამოტანა, რომლის ხელით დახურვამდე ვებ-საიტზე ქმედება ვერ განხორციელდება;

- კალათის მიმდებარედ კომენტარის განთავსების საშუალება საჭიროების შემთხვევაში;
- კალათასთან შეძენის და პრე ორდერის ღილაკების სათითაოდ დამალვა/გამოჩენა;
- კალათაში პროდუქციის მოთავსების პერიოდის ცვლილება;
- კალათაში ერთჯერადად მოთავსებული პროდუქციის ჯამის მაქსიმალური თანხის (მართვა შეძლებოდეს ადმინ პანელიდან)
- კონკრეტულ პროდუქციაზე თითო მომხმარებლისთვის კალათაში მოთავსების/შეძენის რაოდენობის შეზღუდვა გარკვეული პერიოდით. (მაგალითად თითო მომხმრებელმა - user-მა რომ შეძლოს კონკრეტული მონეტის არაუმეტეს 1 ცალის (ან 2 ცალის) ჩაგდება/შეძენა 15 დღის განმავლობაში. თუ კონკრეტული მომხმარებელი წარმატებით განახორციელებს შეკვეთას, 15 დღის განმავლობაში ვეღარ უნდა შეიძინოს იგივე პროდუქცია, 2 ცალზე შეზღუდვის შემთხვევაში, თუ 1 პროდუქცია შეიძინა, 15 დღის განმავლობაში შეეძლება დამატებით მხოლოდ 1 პროდუქციის შეძენა) და შეზღუდვის მოხსნა;
- პროდუქციის ფასის განთავსება;
- პროდუქციის ნაშთის ჩადება/ცვლილება (მომხმარებლებისთვის ნაშთის დამალვა/გამოჩენა);

6.9. <u>რეგისტრირებული მომხმარებლების გვერდი</u>

- არააქტივირებული პროფილის (გარდა ელ. ფოსტაზე მისული აქტივაციის ლინკის) ხელით აქტივაციის და აქტივირებული პროფილის დეაქტივაციის შესაძლებლობა;
- მომხმარებლის დაბლოკვა (გარკვეული პერიოდით), მომხმარებლის მიერ ავტორიზაციის გავლის მცდელობისას შეტყობინების გამოტანით.
- მომხმარებლის პროფილის გაუქმების შემთხვევაში, მის მიერ განთავსებული შეკვეთების შესახებ ინფორმაცია დარჩეს ბაზაში, ხოლო მომხმარებლის ჩანაწერი დარჩეს მაგალითად გაღიავებული. სრული ინფორმაციის წაშლა არ გვინდა.
- მომხმარებლის პროფილში ნებისმიერ ცვლილების შეტანის შესაძლებლობა
- მომხმარებლის ძებნა (სახელით, გვარით, პირადი ნომრით, ტელეფონის ნომრით, ელ. ფოსტით)
- მომხმარებლების ჩამონათვალის ფილტრები და დალაგება სვეტებით (ანბანი, რეგისტრაციის დრო, ქალაქი, აქტივირებული და არააქტივირებული .....)
- რეგისტრირებული მომხმარებლების სრული ჩამონათვალის (სტატუსით აქტივირებული და არააქტივირებული) ექსპორტი Excel-ში სრული ინფორმაციით.
- მომხმარებლის ინფო, ჩანაწერზე დაჭერით გამოვა ინფორმაცია რეგისტრაციის თარიღის, მის პროფილში სრული ინფორმაციისა და მისი ცვლილების შესახებ და როდის რამდენი შეკვეთა განახორციელა.
- რეგისტრირებული (აქტივირებული) მომხმარებლების ელ. ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნა ელ. ფოსტის წერილის ფორმატით (signature) სათითაოდ

და ყველასთან ერთად (რომელიმე მომხმარებლის ადრესატების სიიდან ამოღების შესაძლებლობით).

6.10. <u>შეკვეთების გვერდი</u>

შემოსული შეკვეთები და პრე-ორდერები (გადართვა/გადმორთვა)

შეკვეთებს მიენიჭება უნიკალური ნომერი „order ID“

❖ შეკვეთების განცალკევება შესაბამის განყოფილებებში:
- დაწყებული - (შეკვეთის პროცესი) შესაბამისი სტატუსებით
  - ღილაკი „გაუქმება“
- დადასტურებული - წარმატებით შემოსული შეკვეთა შესაბამისი სტატუსებით

  ღილაკები:
  - გაუქმება - შემოსული შეკვეთის გაუქმება. მომხმარებელს მიუვა შესაბამისი შეტყობინება ელ. ფოსტაზე, შეკვეთას მიენიჭება შესაბამისი სტატუსი და ამ შეკვეთის მიხედვით დაჯავშნილი თანხა გაუქმებისთანავე მომხმარებელს დაუბრუნდება ხელმისაწვდომში (რეფანდი/რევერსალი).
  - რედაქტირება - შეკვეთის რედაქტირება (refund) - შემოსული შეკვეთის რედაქტირება, რომლის მიხედვითაც დაგენერირდება ახალი ინვოისი იგივე order ID-ით, შეტყობინება გაეგზავნება მომხმარებელს ელ. ფოსტაზე და მიებმება მომხმარებლის გვერდზე შესაბამის შეკვეთას, რედაქტირებული სტატუსით. ეს მოხდება თანხის ჩამოჭრამდე და რედაქტირების დადასტურებისთანავე მომხმარებელს ზედმეტად დაჯავშნილი თანხა დაუბრუნდება ხელმისაწვდომში (რეფანდი/რევერსალი). პროცესი გაგრძელდება ჩვეულებრივად დადასტურებული შეკვეთის მიხედვით.
  - გასაცემად მომზადება
  - თანხის ჩამოჭრა
  - დასრულება - გადადის განყოფილებაში „დასრულებული“.
- გაუქმებული - ნებისმიერი მიზეზით გაუქმებული შეკვეთა
- დასრულებული - დასრულების ღილაკით დასრულებული შეკვეთა (შეკვეთების დასრულება ხდება ხელით. ადმინში შესაძლებელი იქნება ერთეული შეკვეთების დასრულება ხელით ან მონიშვნა გვერდზე ყველა ჩანაწერის ან რამოდენიმესი.)

- ადმინისტრატორის მიერ შეკვეთის გასაცემად მომზადების ღილაკზე დაჭერის შემდეგ შეკვეთებს მიენიჭება შესაბამისი სტატუსი და მოხდება შემდეგი ქმედებები:
    - გამოუჩნდება სალაროს როგორც გასაცემად მოსამზადებელი შეკვეთა
    - გადაეგზავნება გადამზიდ კომპანიას აღნიშნულ შეკვეთებზე საჭირო ინფორმაცია
    - მომზადდება დაზღვევისთვის საჭირო დოკუმენტი, რომლის ჩამოწერაც იქნება შესაძლებელი ასევე მეილის მითითება და გაგზავნა პირდაპირ სადაზღვეოსთან. აქვე უნდა იყოს შესაძლებელი 1 შეკვეთის ან მონიშვნით მრავალი შეკვეთის ერთ ინვოისად დაგენერირება.
- შეკვეთების ჩამონათვალს ქონდეს ფილტრი: თარიღის, სტატუსის, ქალაქის, პროდუქციის.... მიხედვით.
- შეკვეთების ჩამონათვალში, ჩანდეს შეკვეთის ნომერი, შეკვეთის ზუსტი დრო, ქალაქი, სახელი, გვარი, პროდუქცია, შეკვეთის თანხა, სტატუსი;
- შეკვეთაზე მაუსით დაჭერისას გამოვიდეს სრული ინფორმაცია:
    - შეკვეთის ნომერი
    - ზუსტი დრო
    - სახელი, გვარი
    - პირადი ნომერი
    - ტელეფონის ნომერი
    - ქალაქი
    - მისამართი
    - დამატებითი მიმღები პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი (მისი არსებობის შემთხვევაში).
    - შეკვეთილი პროდუქცია
    - თანხა ჩაშლილად (პროდუქცია, დაზღვევა, მიწოდება)
    - შეკვეთის თანხა (ჯამი)
- შეკვეთების ჩამონათვალის ექსპორტი excel-ში სრული დეტალური ინფორმაციით.
- შეკვეთის ძიება შეკვეთის ნომრით, ტელეფონის ნომრით, სახელით, გვარით, პირადი ნომრით;
- შეკვეთაზე ნებისმიერ დროს კომენტარის გაკეთება, რომელიც მხოლოდ ადმინში გამოჩნდება;
- მომხმარებლის გვერდზე მიბმული ფაილების ადმინშიც გამოჩენა ამობეჭდვის შესაძლებლობით.
- შეკვეთების მონიშვნა ერთდროულად ქმედების განსახორციელებლად (სადაც შესაძლებელი იქნება: გასაცემი, დასარეგისტრირებელი, გასაუქმებელი, დასასრულებელი....)
- რეპორტის ამოღება - ყველა ინფორმაციის (შეკვეთები თარიღის, სტატუსის, პროდუქციის, მომხმარებლის, ქალაქების.....) მიხედვით ყველა განყოფილებიდან ერთად.

6.11. <u>შემოსული შეკვეთების გაცემა</u>

- დადასტურებულ შეკვეთას, ექნება ღილაკი „გასაცემი“, ამ ღილაკზე დაჭერის შემდეგ შეიცვლება სტატუსი „გასაცემად მომზადება“ სალაროს ადმინისთვის (ელ. ფოსტაზე ავტომატური შეტყობინების ფუნქციით გასაცემი შეკვეთის არსებობის შესახებ - ამ ფუნქციის გააქტიურება/გამორთვა), დაგენერირდეს ინვოისი რომელზეც დატანილი იქნება შტრიხ კოდი (ალტა - B6-ში დარეგისტრირებული დავალების შესაბამისად სტანდარტული ინფორმაციის გადატანა ბარკოდის წამკითხველის მეშვეობით და დავალების შედარება (როგორც დღეს არის)).
- შტრიხ კოდის ამობეჭდვა:
    - ინვოისის სახით PDF, რომელზეც დატანილი იქნება შტრიხ კოდი და სრული ინფორმაცია ;
    - სტიკერის სახით, რომელზეც დატანილი იქნება:
        - შეკვეთის ნომერი
        - სახელი, გვარი
        - პირადი ნომერი
        - ტელეფონის ნომერი
        - მისამართი
        - დამატებითი მიმღები პირის შესახებ ინფორმაცია სრულად
        - შტრიხკოდი

- სტატუსზე „გასაცემად მომზადება“ დაჭერის შემდეგ შეიცვლება სტატუსი ქმედებების მიხედვით: „გასაცემად მომზადებულია“, „გაცემულია“ (სტატუსის ფერის ცვლილებით, რომ მარტივად აღქმადი იყოს.

6.12. <u>შემოსული შეკვეთების დასრულება</u>

- გადამზიდი კომპანიის მიერ „ჩაბარებულია“ სტატუსის მინიჭების და თანხის ჩამოჭრის შემდეგ, ამავე ღილაკით ვასრულებთ შეკვეთას და გადადის დასრულებული შეკვეთების განყოფილებაში.

6.13. <u>პრე-ორდერი</u>

პრე-ორდერის ჩამონათვალი სტანდარტული ფილტრებით, სტატუსებით და რეპორტით შეკვეთებისგან გამოყოფილად მაგრამ ანალოგიურად (პრე-ორდერის გვერდზე გადართვა)

- პრე-ორდერის განთავსება - პროდუქციის ღირებულების ნაწილის მითითება;

- პრე-ორდერის გაგრძელება - მოგვიანებით პროდუქციის დანარჩენი ღირებულების მითითება;
- პრეორდერის გაგრძელების შემახსენებელი შეტყობინებების დაგეგმა: დაიწყო პრეორდერის დასრულების პერიოდი, პრეორდერის დასრულებამდე დარჩა ამდენი დღე, პრეორდერის დასრულების ბოლო შანსი.
- პრეორდერის გაუქმების შესაძლებლობის გაჩენა, კონკრეტული პერიოდის ფარგლებში, შესაბამისი შეტყობინებების გაგზავნის შესაძლებლობით;
- მომხმარებლის მიერ მიწოდების არჩევის შემთხვევაში შეკვეთის პროცესის სტანდარტულად გაგრძელება;
- პრე-ორდერის დასრულება.

7. რეფერენსები

ცენტრალური ბანკების ფულის მუზეუმების ვებ-საიტების სია

- https://www.bankofengland.co.uk/museum
- https://muuseum.eestipank.ee/en/what-can-you-do-museum
- https://www.pinigumuziejus.lt/en/
- https://www.bundesbank.de/en/bundesbank/money-museum
- https://www.centralbankmalta.org/currency-museum
- https://www.bankofcanadamuseum.ca/
- https://www.imes.boj.or.jp/cm/english/
- https://visitabudhabi.ae/en/what-to-see/historical-and-cultural-attractions/uae-currency-museum
- https://museum.rba.gov.au/index.html
- https://www.cbcg.me/en/currency/money-museum
- https://www.nbbmuseum.be/en/discover-museum
- https://centarzaposetioce.nbs.rs/english/index.html
- https://www3.boj.or.jp/otaru-m/en/index.html
- https://www.chicagofed.org/education/money-museum/resources
- https://www.bankofengland.co.uk/museum

ნუმიზმატიკური კატალოგის განყოფილება

- https://www.limis.lt/paieska/perziura/-/exhibit/preview/36187544?s_id=Y8pGZSNWPyAxI6sp&s_ind=23

- http://www.smbdigital.de/eMuseumPlus?service=ExternalInterface&module=collection&moduleFunction=highlight&filterName=filter.collection.highlights.2000
- https://bills.ocularium.be/?language=en

ვირტუალური ტური

- https://www.bundesbank.de/en/service/media-library/videos/ever-heard-of-the-golden-brutus-coin--860786
- https://www.rbnz.govt.nz/education/museum
- https://www.rbnz.govt.nz/research-and-publications/videos/what-is-money
- https://www.bancaditalia.it/servizi-cittadino/musei-collezioni/museo-moneta/index.html?com.dotmarketing.htmlpage.language=1
- https://www.youtube.com/watch?v=33IvKqaqDQI
- https://www.centralbankmalta.org/currency-museum
- https://www.youtube.com/watch?v=4dBHreKuzUs

ვიზიტი მუზეუმში

- https://www.bundesbank.de/en/bundesbank/money-museum/lectures/registration-form-for-lectures
- https://www.pinigumuziejus.lt/en/guestbook

შემეცნებითი მიმართულება

- https://www.pinigumuziejus.lt/en/about/publications
- https://www.imes.boj.or.jp/cm/english/collection/photobook/
- https://www.imes.boj.or.jp/cm/english/collection/home/

ბლოგი

- https://www.pinigumuziejus.lt/en/news/juozas-tubelis-the-third-chairman-of-the-bank-of-lithuania

კონტაქტი

- https://www.pinigumuziejus.lt/en/contacts

8. საგარანტიო პერიოდი და ტექნიკური მხარდაჭერა

8.1. ვებსაიტის ჩაბარების შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე განახორციელოს ვებ-საიტის უფასო ტექნიკური მხარდაჭერა ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად და კონსულტაცია მისი შემსყიდველის მიერ მიღებიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში (საგარანტიო პერიოდი), რაც გულისხმობს ვებ-საიტზე აღმოჩენილი ნებისმიერი სახის ხარვეზის დროულ აღმოფხვრას და გარკვეულ საკითხებში სატელეფონო, ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან პირადი კონსულტაციის გაწევას.

8.2. უსასყიდლო საგარანტიო პერიოდის დასრულებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ვებ-საიტის ფასიანი ტექნიკური მხარდაჭერა ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

8.3. ტექნიკური მხარდაერის განხორციელების პერიოდში (როგორც უსასყიდლო, ისე ფასიანი) მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერი ხარვეზი, შეცდომა, დაზიანება, დეფექტი და გაუმართაობა (შემდგომში ყველა ერთად „ხარვეზად“ წოდებული), რომლებიც წარმოიშობა პროგრამირების კოდში შეცდომის შედეგად და რის გამოც პროგრამული უზრუნველყოფა არ მუშაობს შეთანხმებული ტექნიკური პარამეტრების და მახასიათებლების შესაბამისად.

8.4. ხარვეზები კლასიფიცირდება სამ კატეგორიად: ა) კრიტიკული, ბ) მაღალი და გ) საშუალო ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად:

ა) კრიტიკული: ხარვეზები, რომლებიც იწვევს პროგრამის ნაწილის გაჩერებას. პროგრამის ფუნქციონირება ვერ გრძელდება ჩვეულ რეჟიმში და არ არსებობს ამ პრობლემის აღმოფხვრის და პროგრამის ამუშავების ალტერნატიული გზა;

ბ) მაღალი: ხარვეზები, რომლებიც იწვევს პროგრამის ნაწილის გაჩერებას. პროგრამის ფუნქციონირება ვერ გრძელდება ჩვეულ რეჟიმში, მაგრამ არსებობს პროგრამის ამუშავების ალტერნატიული გზა (სტანდარტული ფუნქციონალობისგან განსხვავებული), რომლის საშუალებითაც პროგრამის ფუნქციონირება შესაძლებელია;

გ) საშუალო: ხარვეზები, რომლებიც მცირე შეფერხებას იწვევს პროგრამაში. ხარვეზები კლიენტის პროგრამას ხელს არ უშლის ფუნქციონირებაში.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ხარვეზზე რეაგირება (ანალიზი) და მისი აღმოფხვრა (ხერვეზის გამოსწორება) ხარვეზების კატეგორიების შესაბამის დროით ინტერვალში;

8.6. ხარვეზზე რეაგირების და აღმოფხვრის ვადები კატეგორიების მიხედვით მოცემულია ქვემორე ცხრილში:

ხარვეზის კატეგორია	რეაგირება	აღმოფხვრა
კრიტიკული	დაუყოვნებლივ	2 საათი
მაღალი	1 სამუშაო დღე	2 სამუშაო დღე
საშუალო	2 სამუშაო დღე	5 სამუშაო დღდე

8.7. ხარვეზზე რეაგირების და აღმოფხვრის ვადები აითვლება მიმწოდებლისათვის შეტყობინების გაგზავნიდან

8.8. საგარანტიო და ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში მიმწოდებელი უზრუნველყოფს ვებ-საიტზე აღმოჩენილი ნებისმიერი სახის შეცდომის, ხარვეზის, გაუმართაობის და ნებისმიერი ისეთი საკითხის, რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს ვებ-საიტის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, აღმოფხვრას ამ მუხლში გაწერილი პირობების და ვადების შესაბამისად.

8.9. 8.9 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ და განსაზღვრავს საკითხის კრიტიკულობას, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული მითითება.

8.10. 8.10 პუნქტით გათვალისწინებულ ინციდენტებს შემსყიდველი აფიქსირებს სპეციალურად გამოყოფილ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

8.11. ინციდენტის აღმოფხვრისთანავე მიმწოდებელი ვალდებულებია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს შემსყიდველის წარმომადგენელს იმ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომლიდანაც მოხდა მისი შეტყობინება, წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხი არ ჩაითვლება აღმოფხვრილად.

8.12. მიმწოდებელმა შემსყიდველს რეგულარულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ დაფიქსირებულ ინციდენტთან, კერძოდ გამოსწორების ეტაპების, გასატარებელი ღონისძიებების და სხვ.

8.13. მიმწოდებელი ვალდებულია რეაგირება მოახდინოს შემსყიდველისგან მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებაზე, რომელიც გამოგზავნილია შემდეგი დომენის მქონე ელექტორნული ფოსტის მისამართიდან: nbg.gov.ge.

8.14. ტექნიკური მხარდაჭერა არ მოიცავს პროდუქტის ვიზუალური ნაწილის ცვლილებას (იგივე Frontend) და/ან პროდუქტის ფუნქციონალის შეცვლას ან დამატებას (იგივე Backend), აგრეთვე მის შემდგომ განვითარებას, დახვეწას, და ვიზუალურ ცვლილებას.

9. დამატებითი მომსახურება

9.1. ვებ-საიტის შექმნა/დანერგვის პერიოდის განმავლობაში (ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე) შემსყიდველის მოთხოვნით და ამ მუხლში მოცემული პრინციპების

შესაბამისად, მიმწოდებელი მიაწოდებს შემსყიდველს 40 (ორმოცი) საათამდე დამატებით მომსახურებას, შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

9.1.1. ამგვარი მომსახურება მიწოდებული იქნება ფასების ცხრილში (დანართი N) დაფიქსირებული საათობრივი ტარიფით;

9.1.2. დამატებითი მომსახურების მოთხოვნა და მიმწოდებლის შეთავაზება განხორციელდება 9.2 პუნქტში აღწერილი ცვლილების მოთხოვნის პროცედურებით;

9.2. ცვლილების მოთხოვნის პროცედურა:

9.2.1. შემსყიდველს შეუძლია, მიმწოდებლისთვის მის მიერ ხელმოწერილი ცვლილების მოთხოვნის ფორმის (დანართი N) გაგზავნით, რომელშიც მოცემულია მოთხოვნილი ცვლილების შინაარსი, ისევე მისი მიზეზები, მოითხოვოს ვებ-საიტის ფუნქციონალის, ან მომსახურების ცვლილება ან დამატება;

9.2.2. 5 (ხუთი) სამუშაო დღის (ან ცვლილების მასშტაბის თანაზომიერი და მხარეებს შორის შეთანხმებული სხვა პერიოდის) განმავლობაში ამგვარი შეტყობინების მიღებიდან, მიმწოდებელმა უნდა მოამზადოს შემსყიდველისთვის, დამატებითი მომსახურებისთვის საათების წერილობითი გაანგარიშება, რომლებიც საჭიროა მოთხოვნილი ცვლილების დანერგვისთვის, ისევე როგორც იმ გავლენის შეფასება, რომელიც მოთხოვნილ ცვლილებას ექნება პროექტის დანერგვის დასრულების თარიღზე და დაუბრუნოს შემსყიდველს თავის მხრივ ხელმოწერილი ცვლილების მოთხოვნის ფორმა;

9.2.3. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ეთანხმება მიმწოდებლის პირობებს იგი 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხელმოწერით ადასტურებს აღნიშნულ თანხმობას, რაც ნიშნავს იმას, რომ შეთანხმება მიღწეულია და მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს მოთხოვნილი ცვლილება.

9.2.4. მხარეთა მიერ საბოლოოდ შეთანხმებული ცვლილების მოთხოვნის ფორმა/ფორმები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.3. ცვლილების ფაქტიურად განხორციელება დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.

9.4. მიმწოდებელს შეუძლია უარი თქვას მოთხოვნილი ცვლილებების განხორციელებაზე, თუ დაასაბუთებს, რომ ეს ტექნიკურად შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია.

10. საკუთრების უფლება

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შექმნილი და შემსყიდველის მიერ შესაბამისად მიღებული პროდუქტ(ებ)ი, გარდა ინტელექტუალური საკუთრებისა და ვებ-საიტის პროგრამული უზრუნველყოფის ყველა პროგრამული კოდისა (source code)

წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას და მას ენიჭება აღნიშნული პროდუქტ(ებ)ით უვადოდ სარგებლობის უფლება.
10.2. მიმწოდებლის მიერ შექმნილ ვებ-საიტთან დაკავშირებულ ინტელექტუალურ საკუთრებაზე (მათ შორის საავტორო უფლებებზე) და პროგრამული უზრუნველყოფის ყველა პროგრამულ კოდხე (source code) საკუთრების უფლება რჩება მიმწოდებელს.

10.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტების დიზაინში გამოყენებული ელემენტების ინტელექტუალურ საკუთრებასთან (მათ შორის, საავტორო უფლებებთან) დაკავშირებით წარმოშობილ მესამე მხარის ნებისმიერ მოთხოვნაზე და პრეტენზიაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

11. „ესქროუ“

11.1. ვებ-საიტის პროგრამული უზრუნველყოფის საწყისი პროგრამული კოდი (source code) უნდა განთავსდეს და მუდმივად ინახებოდეს სებ-სა და მომწოდებელს შორის შეთანხმებულ მესამე პირთან „escrow“-ს პირობების ფარგლებში ან სებ-ში. ნებისმიერ შემთხვევაში საწყისი კოდის დეპონირება არ უნდა იწვევდეს დამატებით ხარჯებს სებ-ისათვის.
11.2. მიმწოდებელი ვალდებულია საწყის კოდში ასახოს ყველა ცვლილება რომელიც განხორციელდება პროექტის დასრულების შემდეგ.
11.3. საწყისი კოდები გახდება ხელმისაწვდომი სებ-ისათვის, იმ შემთხვევაში, თუ:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის შემსყიდველი ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას;
ბ) მოხდა მიმწოდებლის ლიკვიდაცია ან/და დაიწყო მისი გადახდისუუნარობის ან/და გაკოტრების საქმის წარმოება;
გ) მიმწოდებელი აღარ ახორციელებს ტექნიკური მომსახურების საქმიანობას;
დ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვლისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ, შემსყიდველის მცდელობის მიუხედავად ვერ ხდება მიმწოდებელთან დაკავშირება;
ე) მიმწოდებელი არ არის თანახმა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ვებ-საიტის ტექნიკური მხარდაჭერა ახალი ხელშეკრულების საფუძველზე ან/და მხარეებს შორის ვერ ხერხდება შეთანხმება ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების პირობებთან დაკავშირებით.

12. პროდუქტის მიწოდების ვადები

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის და ონლაინ მაღაზიისა ვებსაიტის (შემდგომში „ვებსაიტი“) შექმნა/დანერგვის საერთო ვადა შეადგენს არაუმეტეს 9 თვეს, მათ შორის:

პროექტის დაწყებიდან 7 თვეში უნდა მოხდეს:

- მიმწოდებლის მიერ ონლაინ მაღაზიის ვფუნქციონალის სატესტო ვერსიის შემსყიდველისთვის ჩაბარება
- შემსყიდველის მიერ ტესტირების პროცესის დასრულება;
- ტესტირებისას გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გასწორება მიმწოდებლის მიერ;
- ონლაინ მაღაზიის ფუნქციონალის საწარმოო გარემოში გაშვება/დანერგვა.

პროექტის დაწყებიდან 9 თვეში უნდა მოხდეს:

- მიმწოდებლის მიერ ფულის მუზეუმის ფუნქციონალის სატესტო ვერსიის შემსყიდველისთვის ჩაბარება;
- შემსყიდველის მიერ ტესტირების პროცესის დასრულება;
- ტესტირებისას გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გასწორება მიმწოდებლის მიერ;
- ფულის მუზეუმის ფუნქციონალის საწარმოო გარემოში გაშვება/დანერგვა.

13. ანგარიშგება

13.1. მიმწოდებელმა პროექტის განხორციელების პერიოდში უნდა უზრუნველყოს მუდმივი კომუნიკაცია შემსყიდველთან პროექტის სტატუსისა და შესრულებული სამუშაოების შესახებ, პერიოდული ანგარიშების სახით, რომლებიც უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას. ანგარიშებმა საშუალება უნდა მისცეს შემსყიდველს, განსაზღვროს პროექტის მიმდინარე სტატუსი, გაწეული სამუშაოების პროგრესი და შეძლოს დააიდენტიფიციროს მნიშვნელოვანი რისკები.

13.2. მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადებიდან პირველი ორი თვის განმავლობაში რეგულარულად (ყოველ 2 კვირაში ერთხელ) უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს შესახებ დეტალური ანგარიში (პროგრესის ანგარიში). შემდგომ პერიოდში პროგრეს ანგარიშის წარმოდგენის პერიოდულობა შეთანხმდება მხარეებს შორის.

13.3. საჭიროების შემთხვევაში შესრულებული სამუშაოების ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობის შესახებ შედგება აქტი.

13.4. პროგრესის ანგარიშებში შეჯამებული იქნება შემდეგი საკითხები:

ა) წინა პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შედეგები;

ბ) რესურსები, რომლებიც მიმწოდებლის ვარაუდით, უნდა უზრუნველყოს შემსყიდველმა და/ან შემსყიდველის მიერ განსახორციელებელი ქმედებები, რომლებიც შემსყიდველს ევალება შემდგომ საანგარიშო პერიოდში შემსყიდველის პასუხისმგებლობების შესასრულებლად; და

გ) სხვა საკითხები და პოტენციური პრობლემები, რომლებსაც მიმწოდებელი ვარაუდობს და რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ პროექტის წინსვლასა და/ან შედეგიანობაზე.

13.5. შემსყიდველმა, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, შეიძლება მოითხოვოს მიმწოდებლისაგან პროექტის კონკრეტული ფაზის ან მისი რომელიმე კომპონენტის განხორციელების სტატუსის შესახებ საგანგებო (სპეციალური) ანგარიშის წარდგენა და განუსაზღვროს წარდგენისათვის შესაბამისი ვადა. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ასეთი ანგარიშის დაუდევრობის მიზეზით წარუდგენლობა ან დაგვიანება. ეს ვალდებულება არ უარყოფს ან ცვლის 7.2. და 7.4. პუნქტებში გაწერილ ვალდებულებას.

14. დასაშვებია „ხელშეკრულების ფასის“ ნაწილის (არაუმეტეს 50%-სა) წინასწარ გადახდა, მიმწოდებლის მიერ წინასწარი გადახდის უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობით. საბანკო გარანტია უნდა იყოს გადასახდელი ავანსის იდენტურ თანხაზე და მისი მოქმედების ვადა, სულ მცირე 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ვებსაიტის ჩაბარებისათვის განსაზღვრულ ვადას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. ზოგადი მოთხოვნები

პრეტენდენტებს უნდა გააჩნდეთ ელ. კომერციის მინიმუმ 3 ანალოგიური დასრულებული პროექტის (ინტერნეტ-საიტის) შექმნა/განვითარების გამოცდილება 2018-2022 წლების განმავლობაში, მათ შორის:

- სულ მცირე 1 საიტი წარმადობით - მინიმუმ 5000 შეკვეთა სხვადასხვა მომხმარებლისგან ნებისმიერი 1 დღის განმავლობაში;
- სულ მცირე 1 საიტი მინიმუმ 40 000 უნიკალური ვიზიტორით ნებისმიერი 1 დღის განმავლობაში;
- სულ მცირე 1 საიტი რიგების მართვის ინტეგრირებული პლატფორმით.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების დასადასტურებლად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ:

1. სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N1-ში მოცემული სათანადოდ შევსებული ცხრილი.
2. დამკვეთების მიერ გაცემული დადებითი სარეკომენდაციო წერილები დანართ N1-ში მითითებული სულ მცირე 3 ანალოგიური დასრულებული პროექტის შესახებ სადაც აღნიშნული იქნება, რომ პრეტენდენტმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. ნებისმიერი ერთი დღის განმავლობაში 5000 შეკვეთის წარმატებულად დასრულებული ტრანზაქციების შესაბამისი დამადასტურებელი ინფორმაცია შესაბამისი კომერციული ბანკიდან;
4. ნებისმიერი ერთი დღის განმავლობაში პრეტენდენტის მიერ შექმნილ ვებ საიტზე 40000 უნიკალური ვიზიტორის დამადასტურებელი ინფორმაცია ანალიტიკური სისტემა google analytics-იდან;
5. დანართ 3-ში მოცემული პროექტების წარმატებით დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ხელშეკრულება და ამავე ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა დოკუმენტი. სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში, საკმარისია შენიშვნის სვეტში შესაბამისი SPA/CMR/NAT და ა.შ. ნომრის მითითება.;

2. მოთხოვნები სამუშაო გუნდის მიმართ

პროექტზე მომუშავე გუნდი დაკომპლექტებული უნდა იყოს მინიმუმ ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების შემსრულებელი და გამოცდილების მქონე სპეციალისტებით. ყველა შემოთავაზებულ სპეციალისტსუნდა გააჩნდეს მინიმუმ 3 წლიანი მუშაობის გამოცდილება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში:

- პროექტის მენეჯერი
  - ✓ გამოცდილება:

ა) არანაკლებ 3 წლიანი მუშაობის გამოცდილება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში პროექტის მენეჯერის რანგში;
ბ) ელ-კომერციის ვებ-საიტების შექმნასთან დაკავშირებულ სულ მცირე ერთ პროექტზე მუშაობის გამოცდილება პროექტის მენეჯერის რანგში;

- Software architect
  - ✓ გამოცდილება: მინიმუმ ხუთ პროექტზე მუშაობის გამოცდილება Software architect-ის რანგში;
- Back end developer
  - ✓ გამოცდილება: სულ მცირე ერთ პროექტზე მუშაობის გამოცდილება back end developer -ის რანგში;
- Front end developer
  - ✓ გამოცდილება: სულ მცირე ერთ პროექტზე მუშაობის გამოცდილება Front end developer -ის რანგში;
- Product owner
  - ✓ გამოცდილება: სულ მცირე ერთ პროექტზე მუშაობის გამოცდილება Product owner -ის რანგში;
- QA manager
  - ✓ გამოცდილება: სულ მცირე ერთ პროექტზე მუშაობის გამოცდილება QA manager -ის რანგში;
- UI/UX დიზაინერი
  - ✓ გამოცდილება: სულ მცირე ერთ პროექტზე მუშაოების გამოცდილება UI/UX დიზაინერის რანგში.

* აღნიშნული ჩამონათვალი წარმოადგენს იმ მინიმალურ მოთხოვნებს რასაც უნდა აკმაყოფილებდნენ პროექტზე მომუშავე გუნდის სპეციალისტები .

შესაძლებელია, რომ ერთმა პიროვნებამ შეითავსოს ჩამოთვლილთაგან ორი ან მეტი ფუნქცია, თუ იგი სრულად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, რაც უნდა აისახოს ქვემოთ მოთხოვნილ ინფორმაციაში გუნდის შემადგენლობის შესახებ;

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების დასადასტურებლად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ :

1. ინფორმაცია პროექტზე მომუშავე გუნდის შემადგენლობის (როლის/ფუნქციების მითითებით) შესახებ;

2. გუნდის თითოეული წევრის რეზიუმე (ე.წ. CV), სადაც ნათლად იქნება დადასტურებული ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, კერძოდ,
a) IT სფეროში მუშაობის გამოცდილება;
b) კონკრეტულ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება საკუთარი როლის/ფუნქციის მითითებით.

დანართი 1

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

ცხრილი N1

N	პროექტის დასახელება	შემსყიდველი	შემსყიდველის საკონტაქტო პირი და მისი ტელ. N და/ან ელ. ფოსტა	პროექტის დასრულების წელი	მომსახურების შესრულების დამადასტურებელი თანდართული დოკუმენტი	ვებ-გვერდის მისამართი	შენიშვნა
1							
2							
3							
4							
5							
n…							

შენიშვნები:

1. წინამდებარე ცხრილს თან უნდა დაერთოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგალითად: ხელშეკრულება (არსებობის შემთხვევაში) და ამავე ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა დოკუმენტი, მაგალითად: დადასტურებული ანგარიშ-ფაქტურები ან შემსყიდველის წერილი). სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში, საკმარისია შენიშვნის სვეტში შესაბამისი SPA/CMR/NAT და ა.შ. ნომრის მითითება.

2. დადებითი სარეკომენდაციო წერილები ცხრილში მოცემული პროექტების დამკვეთებისგან. აღნიშნული რეკომენდაციები შეიძლება ჩაითვალოს, ასევე ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტად.

3. ნებისმიერი ერთი დღის განმავლობაში 5000 შეკვეთის წარმატებულად დასრულებული ტრანზაქციების შესაბამისი დამადასტურებელი ინფორმაცია შესაბამისი კომერციული ბანკიდან;
4. ნებისმიერი ერთი დღის განმავლობაში პრეტენდენტის მიერ შექმნილ ვებ საიტზე 40000 უნიკალური ვიზიტორის დამადასტურებელი ინფორმაცია ანალიტიკური სისტემა google analytics-იდან;

პროექტის ვადები და ფასი

პროექტის განხორციელების ვადები:

ვებსაიტის (შემდგომში „ვებსაიტი“) შექმნა/დანერგვის საერთო ვადა შეადგენს არაუმეტეს 9 თვეს, მათ შორის:

პროექტის დაწყებიდან 7 თვეში უნდა მოხდეს:

- მიმწოდებლის მიერ *ონლაინ მაღაზიის ვფუნქციონალის* სატესტო ვერსიის შემსყიდველისთვის ჩაბარება
- შემსყიდველის მიერ ტესტირების პროცესის დასრულება;
- ტესტირებისას გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გასწორება მიმწოდებლის მიერ;
- ონლაინ მაღაზიის ფუნქციონალის საწარმოო გარემოში გაშვება/დანერგვა.

პროექტის დაწყებიდან 9 თვეში უნდა მოხდეს:

- მიმწოდებლის მიერ *ფულის მუზეუმის ფუნქციონალის* სატესტო ვერსიის შემსყიდველისთვის ჩაბარება;
- შემსყიდველის მიერ ტესტირების პროცესის დასრულება;
- ტესტირებისას გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გასწორება მიმწოდებლის მიერ;
- ფულის მუზეუმის ფუნქციონალის საწარმოო გარემოში გაშვება/დანერგვა.

ფასების ცხრილი

N	პროექტის ეტაპი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ონლაინ მაღაზიის ფუნქციონალის შექმნა/დანერგვა	1		
2	ფული მუზეუმის ფუნქციონალის შექმნა/დანერგვა	1		
3	ჰოსტინგი	48 თვე		
4	დამატებითი პროფესიული სერვისი	40 სთ		
5	ფასიანი მხარდაჭერა	36 თვე		
სულ პროექტის ღირებულება: _____ (ლარი)				

ფასი უნდა მოიცავდეს მომსახურების სრულყოფილად გაწევისათვის საჭირო ყველა ხარჯს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.